www.24saati.ge

24 საათი

The New York Times International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი, 24 აგვისტო, 2012 წელი. | №3097 (190) | ფასი 50 თეთრი

მამუკა კაციტაძე: "ამომრჩეველთა ლიგა" დონორებისგან მიღებული ფულის "გაპრავებას" ცდილობს

მაგდა ლექიაშვილი

ამომრჩეველთა ლიგა დღეიდან საჯაროს ხდის საკუთარი კარდაკარის მონაცემებს და იწყებს ლიგის ვებგვერდზე დაუდგენელ პირთა დადგენის კამპანიას - "სად ცხოვრობ შენ." მოქალაქეებს საშუალება ექნებათ, საიტზე პირადი მონაცემები შეიყვანონ და დააფიქსირონ, თუ რა მისამართზე ცხოვრობენ.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

არჩევნებზე პასუხისმგებლობა როგორც ხელისუფლებამ, ისე ოპოზიციამ უნდა აიღოს

"ერთიან ნაციონალური მოძრაობაში" ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციის ვიზიტი შეაფასეს.

"ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" ოპოზიციურ პარტიებს მოუწოდებს, პასუხისმგებლობით მოეკიდონ როგორც წინასაარჩევნო კამპანიას, ისე უშუალოდ არჩევნების დღეს და აღიარონ გამოცხადებული შედეგები. მმართველი გუნდის სპიკერის ჩიორა თაქთაქიშვილის თქმით, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციამ ხაზგასმით აღნიშნა პოლიტიკურ პროცესებში ოპოზიციური პარტიების როლი. ის, რომ მათ პატივი უნდა სცენ წინასაარჩევნო ქცევის წესებს. თაქთაქიშვილის განცხადებით, "ნაციონალური მოძრაობა" მოწოდებულია, წინასაარჩევნო კამპანია წარიმართოს იმდაგვარად, რომ ხელისუფლებო გუნდმა წვლილი შეიტანოს სამართლიანი არჩევნების ჩატარებაში.

"ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეამ აღნიშნა, რომ ამ მიზნის მისაღწევად საკუთარი წილი პასუხისმგებლობა ეკისრება ოპოზიციასაც.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

რუსეთში მართლმადიდებელთა რაზმების შექმნა სურთ

ივა შილაკაძე

მართლმადიდებელთა მოძრაობა "წმინდა რუსეთის" ხელმძღვანელის ივან ოტრაკოვსკის ინიციატივით, მოსკოვში უკვე იქმნება მართლმადიდებელთა რაზმები ქრისტიანული სიწმინდეებისა და საეკლესიო პირების დასაცავად. მისი აზრით, ასეთი რაზმები რუსეთის სხვა ქალაქებშიც უნდა შეიქმნას.

ოტრაკოვსკის სიტყვებით, ეს ჯგუფები მოხალისეებით დაკომპლექტდება და ისინი ქალაქში იმორიგევებენ, ძირითადად, საღამოობით. მათი მიზანი იქნება, შეებრძლონ "აგრესიულ ქმედებებს მღვდლების წინააღმდეგ" და "მკრეხელურ მოქმედებებს სიწმინდეების მიმართ". მოსკოვში უკვე შექმნილია 7 მობილური ჯგუფი. თუ მორიგე რაზმის წევრები შენიშნავენ, რომ ვინმე აბუჩად იგდებს მღვდელმსახურს ან გრაფიტით რამეს წერს ტაძარზე, მათ უნდა დააკავონ ეს პირი და გამოიძახონ პოლიცია.

მარცხნივ ივან ოტრაკოვსკი

გაგრძელება მე-4 გვერდზე

პეტრე ოცხელის პრემია

ბელა ჩეკურიშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა ერთობლივი პროექტის ფარგლებში პეტრე ოცხელის პრემიას აცხადებს. კონკურსის ნომინაციები, პირობები და პროცედურები ხელოვანებისათვის დღეს, 17:30 საათზე გახდება ცნობილი ეროვნულ გალერეაში. გალერისტებს, კურატორებს, მხატვრებსა და ხელოვნებათმცოდნეებს, პრემიის საკონკურსო პირობებს დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეის დირექტორი ნინო გედევანიშვილი გააცნობს.



გაგრძელება მე-5 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6434⇩		
1 ევრო	2.0409⇩		
1 ინგლისური გირვანქა	2.5911⇩		
1 თურქული ლირა	0.9143⇩		
100 რუსული რუბლი	5.1420⇩		
თბილისი	32°C - 18°C		
ქუთაისი	28°C - 17°C		
თელავი	31°C - 15°C		
ზუგდიდი	27°C - 17°C		
ბათუმი	26°C - 17°C		
ნავთობი	3.13	+0.01	+0.24%
გაზი	2.80	+0.02	+0.86%
ოქრო	1,643.40	+0.50	+0.03%
ხორბალი	913.00	-9.00	-0.99%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

FM 102.4
საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი

ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121

9 771987 912100 >

ვიქტორ სანიკიძის Top 15

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

ზურაბ თალაკვაძე

ვიკა სანიკიძე თამაშობს "სიენაში", ითამაშებს "სან ანტონიოში". ძალიან მინდა, რომ ითამაშოს და ეს ვიკასაც უნდა. "სან ანტონიოში" საკალათბურთო ედენია. სანიკიძემ იქ თამაში დაიმსახურა. "სიენა" იტალიაში "სან ანტონიოა" და რეალური "სპურსი" ცოტა შორს, ამერიკის მტვრიან უბანშია. სანიკიძე საქართველოს ნაკრების ლიდერებში ზის. ვიკა ერთ-ერთი ლიდერი და ყველაზე შეუცვლელი პერსონაა. სანიკიძე იღებს ასაღებს, ხსნის მოსახსნელს და ამას შარმით, ელეგანტურად, გემოვნებით აკეთებს. ვიკასთან ბლიციც საინტერესოა. 15 კითხვა და ჩვენი საკალათბურთო ელ ჯეროს 15 პასუხი.

1. **მირზა ტელეტოვიჩზე** - ძალიან მაგარი მოთამაშეა. მეგონა, რომ უფრო შიგნიდან, სამწამიანიდან იმოძრავებდა და უფრო პერიმეტრზე ამოდიოდა, ისროდა ყველა ადგილიდან და ამას მშვიდად აკეთებდა.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

ბოსნიასთან ბუმ გაიღვიძა

ზურაბ თალაკვაძე

გიორგი ცინცაძემ აკრიფა. უკეთესი სროლა, უკეთესი სელექცია სროლის დროს, აკურატული დაცვა და ნაკლები ნერვიულობა კომბინაციის დალაგების პროცესში. უკეთესი გამთამაშებლით მთელი ნაკრები უკეთესია. ბოსნიასთან ჩვენმა პირველმა ნომერმა შეასრულა - 34 წუთი, 12 ქულა, 7 პასი (1 შეცდომასთან), 4 მოხსნა, 2 ჩაჭრა, 2/2 სამიანი. გიორგისთან ერთად ხუთეულში ნაკრებმა +9 დასვა. სოლიდურია. ბოსნიასთან ცინცაძეც სოლიდური, ხანდახან შეუცვლელიც იყო. გიორგისთან საუბარი იმ ბოლო შეტევით დავიწყეთ. აი, ბურთი რომ დაიკარგა და მერე ბოსნიას 6 წამი რომ დარჩა. ძალიან სანერვიულო ფინალი იყო და ნაკრებმა გაძლო.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

ისრაელმა ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი აღიარა

რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინფორმაციით, ისრაელმა ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი აღიარა. ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი და ნეიტრალური პირადობის მოწმობა წარმოადგენს ჰუმანიტარული ხასიათის საბუთს, რომელიც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების მოსახლეობას სოციალური სერვისების მიღებისა და საზღვარგარეთ თავისუფლად გადაადგილების საშუალებას აძლევს.

შეგახსენებთ, რომ ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი ამ დროისთვის აღიარებულია იაპონიის, ჩეხეთის, ლატვიის, ლიტვის, სლოვაკეთის, აშშ-ს, ბულგარეთის, პოლონეთისა და ისრაელის მიერ.

მრავალჟამიერ სიცოცხლესა და წარმატებებს გისურვებთ

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია გულწრფელად ულოცავს გამოჩენილ ქართველ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძეს დაბადებიდან 90 წლისთავს.

მარიამ ლორთქიფანიძის ნაშრომებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საქართველოს ისტორიის, კერძოდ, ქართული მედიევისტიკის განვითარებაში, შუქი მოჰფინეს ბევრ მანამდე გადაუჭრელ პრობლემას; ამავე დროს მეცნიერი ყოველთვის გულმხურვალედ გამოხატავს საზოგადოებრივი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებისადმი დამოკიდებულებას, პირნათლად იხდის მეცნიერი-პატრიოტის ვალს სამშობლოს წინაშე; მას შეუძლია იამაყოს თავისი ღირსებით განვლილი გზით, შემოქმედებითი საქმიანობითა და საზოგადოებრივი ცხოვრებით.

ვუსურვოთ ქალბატონ მარიამს მრავალჟამიერი სიცოცხლე და მაღალი ღირსებით აღნიშნული წარმატებული საქმიანობის გაგრძელება.

აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი

ძვირფასო მკითხველო

7 წლის ლუკა წულეისკირს, რომელიც დაავადებულია- **მწვავე ლიმფოიდური ლეიკემიით** და ამჟამად გადის მკურნალობას ინტენსიური ქიმიოთერაპიის კურსით გერმანიაში, ქალაქ ფრაიბურგის საუნივერსიტეტო ბავშვთა კლინიკაში აუცილებლად ესაჭიროება **ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების გადანერგვის გადაუდებელი ოპერაცია.**

გთხოვთ, გულთან ახლოს მიიტანოთ პატარა ლუკას მდგომარეობა, გამოიჩინოთ გულისხმიერება და შესაძლებლობის ფარგლებში, **ნებისმიერი ოდენობის** (მცირეოდენი) შენატანებით დაგვეხმაროთ ოპერაციისთვის საჭირო თანხების შეგროვებაში.

საბანკო რეკვიზიტები:
ბანკის კოდი: **KSBGGE22**
ბანკის დასახელება: **კორ-სტანდარტ ბანკი**
ანგარიში: **GE19KS0000000360800511**
მიმღები: **ა(ა)იპ ლუკა წულეისკირის დახმარების ფონდი**

ასევე შესაძლებელია ჩარიცხვა განხორციელდეს ნებისმიერი მობილური ოპერატორის მეშვეობით (1 ზარის ღირებულებაა 1 ლარი) შემდეგ ნომერზე:

0 901 500 552

წინასწარ გიხდით დიდ მადლობას თქვენი თანადგომისა და დახმარებისთვის.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო იუწყება, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სამინისტროს თანამშრომელითამარ (თათა) ქვარიანი. კულტურის სამინისტრო უსამძიმრებს გარდაცვლილის ოჯახს და მის ახლობლებს.

მარიამობისთვის შესაწყალებელთა სია მზადაა

პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციაში გუშინ შეწყალების კომისია შეიკრიბა. კომისიის წევრებმა მარიამობის დღესასწაულისთვის შესაწყალებელ 206 მსჯავრდებულის საქმე განიხილა, აქედან 9 არასრულწლოვანის და 23 ქალის. რამდენიმესაათიანი მსჯელობის შემდეგ, შეწყალების სახელმწიფო კომისიამ 100 პატიმარს თავისუფლების ვიზა მისცა - მათგან ერთ არასრულწლოვანს და 14 ქალს.

სხდომის დაწყებამდე შეწყალების კომისიის თავმჯდომარე ელენე თევდორაძემ კიდევ ერთხელ განმარტა, რომ შეწყალებულთა სიაში მოხვდებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის იხდიან სასჯელს, ასევე აქვთ დადებითი რეკომენდაციები და პატიმრობის პერიოდში გამოირჩეოდნენ კარგი ყოფაქცევით.

კომისიის წევრმა მარიკა ვერულაშვილმა კი განმარტა, რომ "ამ კომისიის მიმართ საზოგადოებაში სხვა მოლოდინებია, რადგან იგი წინასაარჩევნოდ იმართება. ვიღაცებს ჰგონიათ, რომ ეს არატიპური სხდომა იქნება, მაგრამ ეს არ არის სიმართლე. ეს არის ჩვეულებრივი სხდომა და ყველა პატიმარის საქმე ტრადიციულად განიხილება. მე პირადად, არ მივცემ ხმას მკვლელებს, განზრახ დანაშაულში მსჯავრდებულებს, ნარკოტიკების რეალიზატორებს და გაუპატიურებისთვის მსჯავრდებულებს. ის კი, ვინც მსუბუქი დანაშაულისთვის იხდის სასჯელს, მარიამობას სახლში შეხვდება," - განაცხადა მარიკა ვერულაშვილმა.

შეწყალების კომისიამ სარეკომენდაციო სია პრეზიდენტს ხელმოსაწერად უკვე გადაუგზავნა. სწორედ, ქვეყნის პირველი პირი გადაწყვეტს საბოლოოდ, რომელი მსჯავრდებული შეხვდება მარიამობის დღესასწაულს საკუთარ სახლში და რომელი ვერა.

2012 წელს მიხეილ სააკაშვილი უკვე მეოთხედ მოაწერს ხელს შეწყალების აქტს. პრეზიდენტის ჰუმანური აქტით წელს თავისუფლება უკვე მიიღო 499 მსჯავრდებულმა, გასულ წელს შეწყალება შეეხეო 787 პატიმარს, 2010 წელს კი 1299-ს.

ყოფილი პოლიციელი პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის გამო დაუჭარიმეს

კოალიცია "ქართული ოცნების" აქტივისტი ნიკოლოზ ლაფერაშვილი, რომელიც პოლიციამ, ორი დღის წინ კასპში დააკავა, გორის სასამართლომ სამართალდამრღვევად ცნო და პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის გამო 400 ლარით დააჯარიმა.

როგორც News.ge-სთან საუბარში "ქართული ოცნების" " მაჟორიტარობის კანდიდატი დავით ონოფრიშვილი ამბობს, ლაფერაშვილი პოლიციელმა კახა ბიჭიკაშვილმა საკუთარ სახლთან ახლოს გააჩერა და ღვედის გამოუყენებლობის გამო, ბორკილები დაადო. მისი თქმით, პოლიციამ ლაფერაშვილს არც ადვოკატთან და არც ოჯახის წევრებთან დარეკვის საშუალება არ მისცა. ონოფრიშვილი აღნიშნავს იმასა, რომ სასამართლო პროცესზე კახა ბიჭიკაშვილის ნაცვლად, სხვა პოლიციელი ივანე ხარხელი მივიდა და ჩვენება სასამართლოს სწორედ მან მისცა.

"ბიჭიკაშილმა უშუალოდ გააჩერა ლაფერაშვილი, ხარხელი კი დაკავების პროცესში მონაწილეობდა, მაგრამ პროცესზე მხოლოდ ხარხელი გამოცხადდა. თუმცა, სასამართლოზე წარმოდგენილმა პოლიციელმა მანიც ვერ დაამტკიცა, რომ ლაფერაშვილმა წინააღმდეგობა გაუწია. მიუხედავად ამისა, სასამართლომ "ოცნების" აქტივისტი მაინც დააჯარიმა," - ამბობს მაჟორიტარობის კანდიდატი.

როგორც დავით ონოფრიშვილი აღნიშნავს, ლაფერაშვილი იმავე პოლიციელმა კახა ბიჭიკაშვილმა ერთი კვირის წინაც დააკავა და მას საჭესთან ნასვამ მდგომარეობაში ჯდომის გამო ჯარიმა გამოუწერა. თუმცა, ლაფერაშვილი არც მაშინ იყო ნასვამი.

"ლაფერაშვილის მიმართ პოლიტიკური დევნა მიმდინარეობს და ამ დამოკიდებულების ერთადერთი მიზეზი ისაა, რომ ნიკოლოზ ლაფერაშვილი 2008 წლამდე საპატრულო პოლიციაში მუშაობდა, დღეს კი, "ქართული ოცნების" აქტიური წევრია," - ირწმუნება ონოფრიშვილი.

პრემიერმა ხელისუფლების დეცენტრალიზაციაზე ისაუბრა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა ფოთის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა. პროექტის მიხედვით, მოწესრიგდება ქალაქის ინფრასტრუქტურა და საცხოვრებელი სახლების ფასადები შეიღებება. მერაბიშვილის თქმით, სექტემბრის ბოლოსთვის ფოთის იერსახე სრულიად უნდა შეიცვალოს.

"წლების განმავლობაში ფოთში გადათხრილია ქუჩები, რადგან მოწესრიგდა წყლის სისტემა და სრულ რეაბილიტაციას ვერ ვახერხებდით. ახლა კი რეაბილიტაცია უნდა დაიწყოს ცენტრიდან და უნდა მივიდეს ფოთის ბოლო წერტილამდე," - განაცხადა ვანო მერაბიშვილმა. მისივე თქმით, უახლოესი პერიოდის განმავლობაში დაიგება ქუჩების უმეტესობა და დარჩება რამდენიმე ქუჩა, რომლებზეც საკანალიზაციო არხებმა უნდა გაიაროს.

საინფორმაციო სააგენტო «ინტერპრესნიუსის» ცნობით, პრემიერი გუშინ ფოთის ცენტრალურ საავადმყოფოსაც სტუმრობდა, რომელიც 170 საწოლიანია და უმაღლესი ხარისხის სამედიცინო აპარატურით არის აღჭურვილი. პრემიერმა სამედიცინო პერსონალი დაზღვეულთა რაოდენობის ზრდის შემდეგ მიმართვიანობის ნაკადის ზრდის შესახებ გააფრთხილა და აღნიშნა, რომ სამომავლოდ ექიმების ხელფასების გაზრდაც იგეგმება.

პრემიერი გუშინვე იმყოფებოდა ბოლნისში, სადაც ფერმერებს შეხვდა. ბოლნისელებთან საუბრისას პრემიერმა განაცხადა, რომ მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში იგეგმება 500 სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საწარმოს შექმნა; დამატებით, სულ მცირე, 95 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის მორწყვა, 35 ათასი ჰექტარი დატბორილი მიწის დაშრობა და სავარგულად ქცევა.

"მზად ვართ დახმარება აღმოვუჩინოთ ყველა ფერმერს, დავეხმაროთ ახალი ტექნოლოგიების დანერგვაში, რათა უფრო იაფი იყოს პროდუქციის დამზადება. ვისაც ექნება სურვილი სასათბურე მეურნეობით დაკავდეს, მაქსიმალურად დაცეხმარებით, გარკვეულ შეღავათებს დავაწესებთ მათთვის, იმიტომ, რომ ჩავანაცვლოთ იმპორტული პროდუქცია და საქართველოში იყიდებოდეს ქართული პროდუქცია ნებისმიერ სეზონზე. გარდა ამისა, ჩვენ გავაფორმეთ ხელშეკრულება სოფლის აკადემიასთან. მეცნიერებს დავაფინანსებთ, რათა მათ ხალხში იარონ და კონსულტაციები გაუწიონ მათ,"- განაცხადა ვანო მერაბიშვილმა.

ვანო მერაბიშვილის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინიციატივა ხელისუფლების დეცენტრალიზაციას ეხებოდა. პრემიერ-მინისტრის განმარტებით, გადაწყვეტილების ადგილზე, კონკრეტულ რაიონში, კონკრეტულ სოფელსა თუ დაბაში მიღება გაცილებით ეფექტური და შედეგიანი იქნება, რადგან ადგილობრივმა ხელისუფლებამ, მოსახლეობასთან ერთად, უკეთესად იცის საკუთარი რაიონის თუ სოფლის სპეციფიკური პრობლემები და მისი გადაჭრის გზები.

ეუთო-ს უმაღლესი კომისარი ლეონიდ თიბილოვს პასუხს სთხოვს

ეუთო-ს უმაღლესი კომისარი ეროვნული უმცირესობების საკითხებში კნუტ ვოლებეკი სამხრეთ ოსეთის "პრეზიდენტს" ლეონიდ თიბილოვს სთხოვს განმარტოს, რა კონკრეტული მიზნები აქვს სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებას ქართული სოფლებთან დაკავშირებით. ამ განცხადებით ვოლებეკი თიბილოვის იმ გამოსვლას გამოეხმაურა, რომელშიც მან განაცხადა, რომ იგეგმება ცხინვალთან ახლოს მდებარე ქართულ სოფლებში დარჩენილი სახლების დანგრევა, მათ ადგილზე კი სამრეწველო და სოფლის მეურნეობის ობიექტები აშენდება.

ეს სახლები ჯერ კიდევ მათს ძველ პატრონებს ეკუთვნის, ისინი არ უნდა დაინგრეს. საერთაშორისო სამართლის გათვალისწინებით, იძულებით გადაადგილებულ პირებს საკუთარ სახლებში დაბრუნების უფლება აქვთ და მათს საკუთრებას პატივი უნდა სცენ. - ნათქვამია განცხადებაში და აღნიშნულია, რომ თუ ეს სახლები დაინგრევა, ეთნიკურად ქართული სოფლების ის მცირე ნაწილიც განადგურდება, რომელიც სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე შემორჩა.

"მივმართავ თხოვნით რეგიონის ფაქტობრივ მმართველობას და კომპეტენტურ ორგანოებს, პატივი სცენ იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთრებას და შეასრულონ საერთაშორისო სამართლით დაკისრებული მოვალეობები. განცხადება ეთნიკური ქართველებით დასახლებული სოფლების სრულად დანგრევის განზრახვაზე ამ ძალიან არამდგრად რაიონში პროვოკაციულია და თუ ის შესრულდება, აღმოჩნდება, რომ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ეთნიკური ქართველები აღარ დარჩებიან. გარდა ამისა, ეს პოტენციური დანაშაული ხელს შეუშლის მშვიდობასა და სტაბილურობას რეგიონში," - აცხადებს ვოლებეკი.

კნუტ ვოლებეკი ასევე იმედოვნებს, რომ უახლოეს მომავალში ეწვევა ცხინვალს, რათა იქ არსებულ ვითარებას გაეცნოს და შექმნილი მდგომარეობა რეგიონის დე ფაქტო ლიდერებთან განიხილოს.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

მამუკა კაციტაძე: "ამომრჩეველთა ლიგა" დონორებისგან მიღებული ფულის "გაპრავებას" ცდილობს

პირველი გვერდიდან

ამას გარდა, "ამომრჩეველთა ლიგის" წევრები საკუთარი კარდაკარის მონაცემებს სიების დაზუსტების კომისიის კარდაკარის შედეგებს ადარებენ იმ რეგიონებში (თბილისი - ზუგდიდი), სადაც ლიგამ ჩაატარა აღნიშნული კამპანია. მათი თქმით, **შედეგები შემდეგნაირად გამოიყურება:**

ამომრჩეველთა	**ლიგა**	**ცესკო**	**სხვაობა**
გარდაცვლილი	6088	2756	3 332
დაუდგენელი	111340	26 222	85118
უცხოეთში	43914	24866	19048
სულ	**161342**	**53844**	**107498**

"საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიის გამოქვეყნებული სია 1 200 000 ამომრჩევლით გაზრდილია 2004 წელთან შედარებით. განსაკუთრებით შეშფოთებას იწვევს უცხოეთში მყოფთა დაბალი მაჩვენებელი 300 000, რაც 3,5-4ჯერ ნაკლებია რეალურ მაჩვენებელთან შედარებით," - ნათქვამია ამომრჩეველთა ლიგის მიერ გაკეთებულ განცხადებაში. ამომრჩეველთა ლიგაში ფიქრობენ, რომ საზღვარგარეთ წასული მოქალაქეების ნაცვლად, ხელისუფლება აპირებს, ხმა საკუთარი პარტიის სასარგებლოდ "ზონდერ ჯგუფებს" მიაცემინოს და ამგვარად გააყალბოს არჩევნები.

"ამომრჩეველთა ლიგის" ბრალდებებს უსაფუძვლოს უწოდებს სიების დაზუსტების კომისიის თავმჯდომარე მამუკა კაციტაძე. "24 საათთან" საუბარში კაციტაძე აღნიშნავს, რომ უზუსტობები, რომლითაც "ამომრჩეველთა ლიგა" აპელირებს, ძველ სიებშია აღმოჩენილი. მას შემდეგ სახელმწიფო კომისიამ კარდაკარი ჩაატარა და არჩევნებისთვის სია საბოლოოდ განაახლა. კაციტაძის თქმით, ლიგის წევრებს უნდოდათ ეთქვათ, რომ ვითომ დაზუსტებულ სიებში აღმოაჩინეს უზუსტობები, მაგრამ დღეს უკვე ყველამ იცის, რომ ეს არის პირველი თებერვლის სიაში აღმოჩენილი ხარვეზები.

კაციტაძის განცხადებით, როდესაც მისი კომისია კარდაკარს ატარებდა, იყო მოთხოვნა, რომ რეგისტრატორს უზუსტობების აღმოჩენის შემთხვევაში შევსებული განაცხადი მიეტანა. წინააღმდეგ შემთხვევაში, აღმოჩენილი ფაქტი დასაბუთებული ვერ იქნებოდა. "ამომრჩეველთა" ლიგას კი, კაციტაძის თქმით, მხოლოდ ცარიელი ციფრები აქვს, რომელთა უკან დოკუმენტები არ დგას. მამუკა კაციტაძე მიიჩნევს, რომ ამომრჩეველთა ლიგა, მისი კარდაკარი და მოქმედება ბიზნესპროექტია.

"ამომრჩეველთა ლიგამ გაიმარჯვა ტენდერში, იმისთვის, რომ ეკრიტიკებინა სიების დაზუსტების კომისია. საკმაოდ კარგი ტენდერი მოიგო ფინანსური თვალსაზრისით, იმიტომ, რომ კარდაკარს ისინი 5 და 10 ათასით ვერ ჩაატარებდნენ. ამ საქმეს არც 100 ათასი ეყოფოდა. მოგებული ტენდერი შედეგით უნდა დასრულებულიყო. აბსულუტურად მესმის მათი მდგომარეობა. დონორი, ვინც ისინი დააფინანსა, ითხოვს შედეგს. რეზულტატი უნდა იყოს სიების დაზუსტების კომისიის შედეგების მიმართ უნდობლობის განცხადება. თუმცა ეს შედეგი ვერ დადგა. ამ დროს ევროკავშირის ელჩი ფილიპ დიმიტროვი, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის დეგელაცია, საზოგადოებრივი აზრის კვლევები ენდობიან სიების დაზუსტების კომისიას," - ამბობს მამუკა კაციტაძე. მისივე თქმით, "ამომრჩეველთა ლიგის" აგონიური განცხადებები სხვა არაფერია, თუ არა მიღებული ფულის ხარჯვის "გაპრავების" მცდელობა მათსავე დონორებთან.

არჩევნებზე პასუხისმგებლობა როგორც ხელისუფლებამ, ისე ოპოზიციამ უნდა აიღოს

პირველი გვერდიდან

დელეგაციამ მათ მოუწოდა, იმოქმედონ კანონმდებლობის ფარგლებში, ასევე აღიარონ არჩევნების შედეგები," - ამბობს ჩიორა თაქთაქიშვილი. მისივე განცხადებით, ნაციონალური მოძრაობა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ საზოგადოებას ჰქონდეს ამომწურავი ინფორმაცია სახელმწიფო აუდიტის საქმიანობის შესახებ. თაქთაქიშვილის თქმით, კონკრეტულ შემთხვევებში, შესაძლოა, ის ინფორმაცია დარღვევებზე, რომელიც წარდგენილია საერთაშორისო დამკვირვებლებისთვის კონკრეტული პარტიების და მათი ლობისტების მიერ, არ არის ზუსტი. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გააძლიეროს მუშაობა და წარმართოს საქმიანობა გამჭვირვალობის ევროპული სტანდარტის ფარგლებში.

ჩიორა თაქთაქიშვილი ამბობს, რომ "ნაციონალურმა მოძრაობამ" სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში უნდა გაიმარჯვოს. საქართველოს ხელისუფლებამ ამიტომ მოიწვია ადრეულ ეტაპზე საერთაშორისო დამკვირვებლები.

"მნიშვნელოვანია, რომ ეუთო-ს დელეგაციამ ხაზი გაუსვა იმ წარმატებებს, რომელსაც საქართველომ 2008 წლის არჩევნების შემდეგ მიაღწია. დადებითად შეაფასა ის ძალისხმევა, რომელიც მიმართული იყო საარჩევნო სიების დაზუსტებისკენ, წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად," - დასძენს თაქთაქიშვილი.

მმართველი გუნდის პრესსპიკერი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებასაც გამოეხმაურა, სადაც ქვეყნის პირველმა პირმა რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების გზაზე - სახალხო დიპლომატიაზე ისაუბრა. თაქთაქიშვილი ამბობს, რომ რუსეთთან ურთიერთობის სახალხო დიპლომატიის გზით დაბრუნება ქართული პოლიტიკის გაგრძელებაა. თაქთაქიშვილის თქმით, საქართველოს მოსახლეობისთვის რუსეთის ფედერაციასთან მმართველი გუნდის დამოკიდებულება კარგად არის ცნობილი. ამასთან, საქართველო რუსეთის მიერ ოკუპირებულია და საზოგადოებას კითხვა არ უჩნდება, თუ ვინ დაიწყო ომი. საზოგადოებისთვის ასევე ცნობილია, რომ ხელისუფლებამ მთელი რიგი ნაბიჯები გადადგა, რათა რუსეთის მოქალაქეებთან მიმართებაში პოზიტიური დამოკიდებულება ყოფილიყო.

"ჩვენი მიზანი არ არის რუსეთის მოქალაქეებთან დაპირისპირება, სწორედ ამიტომ გავხსენით საზღვარი რუსეთის მოქალაქეებისთვის. პრეზიდენტის განცხადება კი ძალიან ლოგიკური გაგრძელებაა ყველა იმ წინა ქმედების, რომელიც ჩვენ განვახორციელეთ," - განაცხადა ჩიორა თაქთაქიშვილმა. მისივე თქმით, საერთაშორისო საზოგადოებამ რუსეთზე ზეწოლა უნდა გააგრძელოს. შედეგად კი საქართველოს დეოკუპაცია უნდა მოხდეს.

სწავლა 17 სექტემბერს დაიწყება

საქართველოს საჯარო სკოლებში სასწავლო პროცესი 17 სექტემბერს დაიწყება. ამის შესახებ გუშინდელ ბრიფინგზე განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ხატია დეკანოიძემ განაცხადა. მისი თქმით, სკოლებში ახალი სასწავლო წლისთვის მზადება მიმდინარეობს და 17 სექტემბერს სასწავლო პროცესს ყველა სკოლა შეფერხების გარეშე განაახლებს. წელს სარეაბილიტაციო სამუშაოები 527 საჯარო სკოლაში ჩატარდა.

ხატია დეკანოიძის განცხადებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სოციალური პროგრამის ფარგლებში აგრძელებს მოსწავლეებისთვის უფასო სახელმძღვანელოების გადაცემას. წელს 140 ათასი მოსწავლე I-დან XII კლასის ჩათვლით, სახელმწიფოსგან საჩუქრად სასკოლო სახელმძღვანელოებს მიიღებს. სახელმძღვანელოები გადაეცემათ სოციალურად დაუცველი ოჯახების წევრებს, იმ ოჯახების მოსწავლეებს, საიდანაც ერთდროულად სამი ან მეტი ბავშვი სწავლობს სკოლაში, 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების შვილებს. ამ სამი კატეგორიის მოსწავლეებზე სულ მილიონამდე წიგნი გაიცემა და ეს სახელმძღვანელოები მათ 17 სექტემბერს სკოლაში დახვდებათ.

მინისტრის განცხადებით, წელს პირველად, სასკოლო სახელმძღვანელოები საქართველოს მასშტაბით 400 სკოლაში გაიყიდება. სკოლებში სახელმძღვანელოები ისე გადანაწილდება, რომ წიგნების შეძენას სხვა სკოლების მოსწავლეებიც შეძლებენ. სახელმძღვანელოების მაქსიმალური ფასი კი 10 ლარი იქნება. წიგნების შეძენის შესაძლებლობა მოსწავლეებს 10 სექტემბრიდან 8 ოქტომბრის ჩათვლით მიეცემათ. იმ სკოლების ჩამონათვალი, სადაც სახელმძღვანელოები გაიყიდება, სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე დაახლოებით 1 სექტემბერს განთავსდება.

ხატია დეკანოიძის ინფორმაციით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს ფოსტას შორის დადებული მემორანდუმის ფარგლებში, მოსწავლეებს წელსაც შეეძლებათ, სახლიდან გაუსვლელად, საქართველოს ფოსტის ვებგვერდის მეშვეობით ელექტრონულად გამოიწერონ სასკოლო სახელმძღვანელოები. ამ სერვისით სარგებლობა საქართველოს მასშტაბით ყველა მსურველს შეუძლია. გამოწერილ სახელმძღვანელოებს თბილისში მოსახლეობა გამოწერიდან 24 საათის განმავლობაში, ხოლო რეგიონებში - 48 საათის განმავლობაში მიიღებს. ასევე მოქმედებს საქართველოს ფოსტის ცხელი ხაზი: 224-09-09. დეტალური ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია ვებგვერდზე: www.gpost.ge.

გარდა ამისა, 17 სექტემბერს ყველა საჯარო სკოლის პირველკლასელს სკოლაში ნეთბუქი დახვდება.

უმაღლესი სასწავლებლები კი სწავლის დაწყების თარიღს თავად გადაწყვეტენ. თუმცა სასწავლო პროცესი არაუგვიანეს პირველი ოქტომბრისა უნდა დაიწყოს. იგივე ეხებათ საბავშვო ბაღებს, რომლებიც მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არიან.

ეუთო-მ საქართველოში საარჩევნო სადამკვირვებლო მისია დააფუძნა

ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა (ODIHR) საქართველოში საპარლამენტო არჩევნებზე დასაკვირვებლად საარჩევნო სადამკვირვებლო მისია დააფუძნა.

მისიას ნიკოლაი ვულჩანოვი უხელმძღვანელებს. ის თბილისში მოვლენილი 15 საერთაშორისო ექსპერტისა და ქვეყნის მასშტაბით განანილებული 28 გრძელვადიანი დამკვირვებლისაგან შედგება. გარდა ამისა, ODIHR-ი დამატებით გამოითხოვს 350 მოკლევადიან დამკვირვებელს, რომლებიც საარჩევნო დღის მიმდინარეობას და ხმების დათვლის პროცესს დაკვირდებიან.

საინფორმაციო სააგენტო "news.ge"-ს ცნობით, დამკვირვებლები მომავალ არჩევნებს შეაფასებენ დემოკრატიული საარჩევნო პროცესების პრინციპებთან შესაბამისობაში, ეუთო-ს მონაწილე ყველა ქვეყნის მიერ შეთანხმებული ვალდებულებებისა და ეროვნული კანონმდებლობის ჩათვლით. ამას გარდა, დამკვირვებლები განახორციელებენ საარჩევნო კამპანიის, მედიის მიერ მოვლენების გაშუქების, საკანონმდებლო ბაზისა და მისი განხორციელების, საარჩევნო ადმინისტრაციისა და შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მუშაობის და საარჩევნო დავების გადაწყვეტის მონიტორინგს.

დაკვირვების პროცესის ფარგლებში მისიის წევრები შეხვდებიან ხელისუფლების წარმომადგენლებს, კანდიდატებს, პოლიტიკურ პარტიებს, სასამართლოს, სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის წარმომადგენლებს.

მოკლევადიანი დამკვირვებლები, რომლებიც არჩევნების დღისთვის ჩამოვლენ, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ორკაციან ჯგუფებად განაწილდებიან, რათა საარჩევნო უბნების გახსნის, ხმის მიცემის, საარჩევნო ბიულეტენების დათვლისა და შედეგების შეჯამების მონიტორინგი განახორციელონ.

პრეზიდენტი ჭიათურაში ჩავიდა

საქართველოს პრეზიდენტი პირველ ლედისთან, სანდრა ელისაბედ რულოვსთან ერთად, ჭიათურას ესტუმრა და სოფელ სვერში ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა. როგორც მიხეილ სააკაშვილის ოფიციალურ FB-გვერდზე გავრცელდა ინფორმაცია, ქვეყნის პირველმა პირმა ადგილობრივებს ბოლო პერიოდში განხორციელებული და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტები გააცნო. როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, უახლოეს პერიოდში ჭიათურამდე მისასვლელი გზა სრულად შეკეთდება, ხოლო სექტემბერში სოფელს განახლებული სკოლა ექნება.

ქვეყნის პირველი პირი პროგრამის "წყალი ყველა სოფელს" ფარგლებში ადგილობრივ მოსახლეობას წყალსადენის სისტემის უზრუნველყოფას დაპირდა. მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, ქვეყანა ყველა მაჩვენებლით წინ მიიწევს და ხელისუფლების უმთავრესი ამოცანაა, რომ ამ წინსვლამ ყველა ოჯახში შეაღწიოს.

"იცით, როგორაა? ვიწრო გზაზე მივდივართ. მარჯვნივაც უფსკრულია და მარცხნივაც. ამ გზაზე უკან დაქანება ან ფეხის გადაცდომა უფსკრულში გადაჩეხვას ნიშნავს, უფსკრულიდან კი უკან აღარ ამოდიხარ. ჩვენ გვინდა, პირიქით, კი არ გადავიჩეხოთ, არამედ, როგორი ძნელიც არ უნდა იყოს ეს გზა, როგორი მოსახვევებიც, როგორი აღმართებიც არ უნდა იყოს, ჩავიდეთ დანიშნულების ადგილზე, სადაც უფრო ნორმალური ცხოვრება იქნება," - განაცხადა პრეზიდენტმა.

"საკუთარ კარში გოლების გამტანების ბრიგადა"

პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სამტრედიაში იმყოფებოდა, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას "ნაციონალური მოძრაობის" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად მერაბ ჯანელიძე წარუდგინა. ქვეყნის პირველი პირის შეფასებით, საქართველოში საკუთარ კარებში გოლების გამტანების დიდი ბრიგადაა შემოსეული, თუმცა, ისინი ვერასდროს გაიმარჯვებენ. პრეზიდენტის თქმით, სწორედ საკუთარ კარში გოლის გატანის მცდელობაა იმაზე საუბარი, რომ რუსეთთან ომი საქართველომ დაიწყო, რომ იმ ენერგეტიკულ თუ ეკონომიკურ ემბარგოში, რომელიც ქვეყანას დაატყდა თავს, დამნაშავე სწორედ ქართული მხარე იყო.

"ვინც გვეუბნება, რა მნიშვნელობა აქვს, ევროპაში ვიქნებით თუ რუსეთშიო, თესავს გაუგებრობას, რადგან ჩვენ უნდა ვიყოთ იქ, სადაც საქართველო დაცული იქნება და საქართველოს ერთიანობას ეჭვქვეშ არავინ დააყენებს. მათთვის, ვინც გვეუბნება, რა მნიშვნელობა აქვს ვინ დაიწყო ომიო, ალბათ სულ ერთია, ვის კარში გაიტან გოლს - შენი გუნდის თუ მოწინააღმდეგის. საკუთარ კარებში გოლების გამტანების დიდი ბრიგადაა შემოსეული საქართველოში, თუმცა ისინი ვერასდროს გაიმარჯვებენ. როცა შენ ცდილობ, რომ ყველაფერში, რაც საქართველოს დაატყდა თავს, სწორედ შენი ქვეყანა დაადანაშაულო, შენ ცდილობ გოლი გაიტანო შენს კარებში. ამაზე მეტი საკუთარ კარში გოლის გატანა რაღა არსებობს ქვეყანაზე?! სანამ ჩვენს კარებში ასეთი მეკარეები დგანან, გოლს ვერ გაგვიტანენ, მათ შორის საკუთარ კარში," - ამბობს პრეზიდენტი.

პრეზიდენტის თქმით, მოწინააღმდეგეების საპასუხოდ, რომლებიც ევროპასა და რუსეთს შორის განსხვავებას ვერ ხედავენ, ფუნქციონირებას დაიწყებს ქუთაისის აეროპორტი, საიდანაც ევროპის დედაქალაქების მიმართულებით პირდაპირი ფრენები დაიწყება.

სირიის ქიმიური არსენალი და დასავლური მუქარა

ხათუნა გაბიევი

პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის მხრიდან საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ ქიმიური იარაღის გამოყენების საფრთხე, ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან ევროპელ პარტნიორებთან ერთად სამხედრო ინტერვენციის მუქარა და რუსეთის შეშფოთება მოკავშირის სახით სირიის შესაძლო დაკარგვის გამო - ასეთია ვითარება სირიაში, სადაც გააფთრებული ბრძოლები რეგულარულ და «თავისუფალ» არმიებს შორის დღემდე გრძელდება. ფრონტის ხაზი კვლავ დამასკოზე, ალეპოსა და სირიის სხვა მსხვილ ქალაქებზე გადის.

მმართველი რეჟიმის მტკიცებით, მათ უკვე შეძლეს ამბოხებულებისგან ალეპოს გათავისუფლება. სირიაში სიდიდით მეორე ქალაქი ჯერ ავიაციის გამოყენებით დაიბომბა, შემდეგ კი არმია და მძიმე ტექნიკა შევიდა. სამოყვარულო კამერით გადაღებულ ვიდეომასალაში კი, რომლებიც სოციალური ქსელებით ვრცელდება, ჩანს, რომ ასადის ოპოზიცია პოზიციების დათმობას მაინც არ აპირებს. დღითიდღე იზრდება მსხვერპლის რაოდენობაც, რომლის უმრავლესობას მშვიდობიანი მოქალაქეები შეადგენენ. პარალელურად გააქტიურდა საუბრები პოლიტიკურ და ექსპერტთა წრეებშიც იმის შესახებ, რომ პრეზიდენტმა შეიძლება პოზიციების ბოლომდე დაცვისთვის არც ქიმიური იარაღის გამოყენებაზე თქვას უარი. სიტუაციის ამგვარი განვითარების შემთხვევაში კი ამერიკის შეერთებული შტატები, დასავლელ პარტნიორებთან ერთად, არც სამხედრო ინტერვენციაზე დაიხევს უკან. ყოველ შემთხვევაში, ბარაკ ობამას გამაფრთხილებელმა განცხადებამ რუსეთის პოლიტიკურ წრეებში საკმაოდ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. **"ჩვენს დასავლელ პარტნიორებს და, მათთან ერთად, ისრაელსაც ბოლო დროს ასეთი ტიპის განცხადება არაერთხელ გაუკეთებია და არ გამოვრიცხავთ, რომ მათ სისრულეში მოიყვანონ კიდეც მუქარა,"** - განაცხადა ანონიმურობის საფუძველზე რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს წყარომ გაზეთ "კომერსანტთან" საუბარში. თეთრ სახლში ორშაბათს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მიერ გაკეთებული განცხადების თანახმად, შესაძლოა, მან ინტერვენციის ბრძანებაც გასცეს, თუ გაჩნდება დადასტურებული ინფორმაცია სირიაში არსენალის გადაადგილების ან ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის გავრცელების საფრთხის თაობაზე (ამაზე უკვე წერდა «24 საათი»). რუსეთის დიპლომატიური უწყების წყაროს თანახმად კი, მოსკოვი დამასკოსთან კონფიდენციალურ დიალოგსაც აწარმოებს ქიმიური იარაღის არსენალის უსაფრთხოდ შენახვის თაობაზე. რაც შეეხება ოფიციალურად დადასტურებულ ინფორმაციას, მოსკოვში სირიის ოფიციალური დელეგაციის ვიზიტის დროს ითქვა, რომ ოფიციალური დამასკო მზადაა მოლაპარაკებებისთვის "მხოლოდ ყოველგვარი წინასწარი პირობების გარეშე", რაშიც იგულისხმება დასავლეთის მოთხოვნის უგულებელყოფა ასადის გადადგომის შესახებ. "დიალოგის დაწყებისთვის პრეზიდენტის გადადგომის პირობის წაყენება უკვე ნიშნავს იმას, რომ შეთანხმების მიღწევა გამორიცხულია. მოლაპარაკებების დროს კი ნებისმიერი პრობლემის განხილვა შეიძლება," - განაცხადა სირიის ვიცე-პრემიერმა ყადრი ჯამილმა. გარდა ამისა, სირიის ვიცე-პრემიერმა მოკავშირეებთან ურთიერთობასა და მსგავსებაზეც ისაუბრა. **"ჩვენი სტრატეგიული ლოზუნგია აღმოსავლეთით სვლა. გავამყარებთ ურთიერთობებს ისეთ ქვეყნებთან, რომლებიც ჩვენი მსგავსნი არიან. აღმოსავლეთში კი მხოლოდ რუსეთს, ჩინეთს და ინდოეთს არ ვგულისხმობთ, ჩვენთვის პარტნიორია ასევე ვენესუელა,"** - განაცხადა ყადრი ჯამილმა.

ვაშინგტონში კი კვლავინდებურად არ სჯერათ ოფიციალური დამასკოს მხრიდან გაკეთებული განცხადებების. ერთადერთ გამოსავლად ვითარების რეგულირებისთვის ამერიკის შეერთებულ შტატებში ისევ ბაშარ ალ-ასადის გადადგომა მიაჩნიათ, რის შესახებაც სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ვიქტორია ნულანდმა კიდევ ერთხელ განაცხადა ბრიფინგზე. იმ შემთხვევაში კი, თუ პრეზიდენტი არ გადადგება და, მეტიც, მოსახლეობის წინააღმდეგ ქიმიურ იარაღსაც გამოიყენებს, საკუთარ ტაქტიკას დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთიც გადახედავენ. გარდა ამისა, როგორც "ლოს ანჯელეს ტაიმსის" მიერ გამოქვეყნებული სტატიით გაირკვა, ოფიციალური ვაშინგტონი არა უბრალოდ იმუქრება, როგორც ამას ზოგიერთი რუსი ექსპერტი აფასებს, არამედ სირიაში საიდუმლო მოქმედების გეგმა პენტაგონს უკვე მზად აქვს. ამერიკული გამოცემა იმასაც წერს, რომ საბრძოლო მოქმედებების დროს ქიმიური იარაღის უსაფრთხოდ შენახვა შესაძლოა, შეუძლებელი გახდეს და მარტივად მოხდეს ტერორისტული დაჯგუფებების ხელში, რაც ცალკე მუქარის მექანიზმად გადაიქცევა. მართალია, რუსეთში პოლიტიკოსთა და ანალიტიკოსთა ნაწილი მიიჩნევს, რომ წინასაარჩევნო პირობებში ამერიკის შეერთებული შტატებისთვის ხელსაყრელი არ უნდა იყოს ომის წამოწყება და მუქარანარევი განცხადებები ბარაკ ობამას მხოლოდ პოლიტიკური ქულების დაგროვებისთვის შეიძლება სჭირდებოდეს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცნობებს ირანის მიერ ასადის რეჟიმის იარაღით მომარაგების შესახებ, სამხედრო ინტერვენციისთვის საკმარისზე მეტი მიზეზი ჩნდება.

დასავლურ მუქარას ინტერვენციის შესახებ, რუსეთთან ერთად, ჩინეთიც სახიფათოდ უპასუხისმგებლოს უწოდებს. როგორც ჩანს, საფრთხეები უკვე აღქმით ჩარჩოებსაც ცდება, რადგან მოსკოვმა ტარტუსში რუსული სამხედრო-საზღვაო ბაზის პირადი შემადგენლობა ევაკუაციისთვის უკვე მოამზადა. ამის შესახებ ცნობებს რუსული მედია ავრცელებს. მათივე თანახმად, სირიის არსენალი, კერძოდ, ტონობით ტოქსიკური ნივთიერებებით სავსე ბუნკერები და ცენტრები, სწორედ ცხელ წერტილებში მდებარეობს.

ტაჯიკეთში საველე მეთაურის მკვლელობას არეულობა მოჰყვა

სალომე ჭანიაშვილი

ტაჯიკეთში, ქალაქ ხოროგის მოსახლეობა შეშფოთებულია ერთ-ერთი ყოფილი საველე მეთაურის, ტაჯიკეთის ოპოზიციის ლიდერის იმომნაზარ იმომნაზაროვის მკვლელობის გამო. მოსახლეობამ ოლქის ადმინისტრაციასთან, ქალაქიდან სამთავრობო ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანის მოთხოვნით საპროტესტო აქცია გამართა.

ხოროგი მთიანი ბადახშანის ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენს. სხვადასხვა მონაცემებით, საპროტესტო აქციაზე მონაწილეობას ასობით ადამიანი იღებდა. მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ მონაწილეებს დაშლისკენ მოუწოდა, მათმა ნაწილმა საპროტესტო მოედანი დატოვა. თუმცა, თვითმხილველთა განცხადებით, უმრავლესობა კვლავ განაგრძობს პიკეტირებას.

მთიანი ბადახშანის პოლიციის მაღალჩინოსანმა ჟურნალისტებთან საუბრის დროს დაადასტურა, რომ აქციის მონაწილეებმა ბარიკადები აღმართეს ცენტრალურ მოედნებსა და იმ ქუჩებზე, რომელსაც პოლიციის შენობასთან მიდის. ამ ინფორმაციის გადამოწმება დამოუკიდებელი წყაროს საშუალებით ამჟამად არ ხერხდება.

«სამოქალაქო პირები მზად არიან, ქვების და ჯოხების საშუალებით დაიცვან ოჯახები, სახლები და სიცოცხლე. ჩვენ შეუიარაღებლები ვართ. ხალხმა დაუჯერა ხელისუფლებას და შეიარაღებული ჯგუფების ლიდერებმა იარაღის ჩაბარება დაიწყეს. ახლა უკვე ეს მკვლელობა მოხდა. ჩვენ გამოვთქვამთ უნდობლობას და ვთვლით, რომ მხოლოდ პრეზიდენტ რახმონს შეუძლია, მოაგვაროს კონფლიქტი ხოროგში," - განაცხადა აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ ჟურნალისტებთან საუბრის დროს.

მთიანი ბადახშანის შინაგან საქმეთა სამმართველომ დაადასტურა, რომ იმ მომიტინგეების წინააღმდეგ, რომლებიც მთავრობის შენობაში შეჭრას ცდილობდნენ, ცეცხლი გახსნეს, რის შედეგადაც ორი ადამიანი დაიჭრა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა უარი თქვეს მომიტინგეებთან გასვლაზე, რის შემდეგაც ხალხმა სამმართველოს შენობას ქვები დაუშინა.

ყოფილი საველე მეთაური იმომნაზარ იმომნაზაროვი მოკლეს საკუთარ სახლში 22 აგვისტოს, ადგილობრივი დროით ღამის 03:30 საათზე. გავრცელებული ინფორმაციით, იმომნოზაროვის სახლში უცნობი ადამიანები შეიჭრნენ. სროლის შედეგად მოკლეს თავად ყოფილი საველე მეთაური, ხოლო მისი ძმა ოხირნაზარ იმომნაზაროვი კი დაჭრეს.

იმომნაზარ იმომნაზაროვი მძიმედ დაიჭრა ტაჯიკეთში სამოქალაქო ომის დროს, 1990 წელს და მას შემდეგ მხოლოდ ინვალიდის ეტლის საშუალებით შეეძლო გადაადგილება. მოსახლეობის განცხადებით, იმომნოზაროვი ძალიან პოპულარული და ავტორიტეტული ფიგურა იყო. რესპუბლიკის გენერალურ პროკურატურაში განაცხადეს, რომ მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღიძრება.

ხელისუფლება აცხადებს, რომ იმომნაზაროვის მკვლელობა შესაძლოა იყოს კარგად დაგეგმილი პროვოკაცია, რომლის მიზანიც მთიან ბადახშანში სიტუაციის გამწვავებაა. ტაჯიკეთის გენერალური პროკურატურის ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ იმომნაზარ იმომნაზაროვი აფეთქების შედეგად გარდაიცვალა. გენპროკურატურის განცხადებაში, ასევე, ნათქვამია, რომ ამ წლის 8 აგვისტოს შემდეგ იმომნაზაროვი ძებნაში იყო. მას ბრალად ედებოდა მთელი რიგი ჩადენილი დანაშაულებებისა, რომელთა შორისაც არის: შეიარაღებული თავდასხმა, ადამიანებით ვაჭრობა საზედამხედველო ორგანოს და სამხედრო პროკურატურის თანამშრომლების მძევლად აყვანა, ბანდიტიზმი, ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა, მაშინ როდესაც ხელისუფლება ცდილობდა გენერლის აბდულა ნაზარობის მკვლელების დაკავებას. გენერლის მკვლელობაში ის თავად იყო ერთ-ერთი ეჭვმიტანილი, თუმცა პოლიცია, დანარჩენი დამნაშავეებისგან განსხვავებით, მის აყვანას არ ჩქარობდა.

ოთხშაბათს საპროტესტო აქციის მონაწილეები ხელისუფლებისგან 20 დღის განმავლობაში სამთავრობო ჯარების ხოროგიდან გაყვანას მოითხოვდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში ახალი პიკეტებით იმუქრებიან.

ოთხშაბათს მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლები სასწრაფოდ სახლებში გაუშვეს. უშიშროების ძალები სრულ საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანეს. ხოროგში, სამშაბათიდან მოყოლებული, ფიქსირებული ტელეფონები შეფერხებებით მუშაობს.

არეულობა რეგიონში უკვე რამდენიმე კვირაა გრძელდება. 24 ივლისს ხოროგში მასშტაბური სამხედრო სპეცოპერაცია ჩატარდა სპეცსამსახურების გენერლის აბდულო ნაზაროვის მკვლელების დასაკავებლად. ოფიციალური ინფორმაციით, ერთდღიანი სამხედრო ოპერაციის შედეგად დაიღუპა სამთავრობო ჯარების 17 ჯარისკაცი, 30 კაცი არალეგალური შეიარაღებული დაჯგუფებებიდან და ერთი მშვიდობიანი მოქალაქე. თუმცა არასამთავრობო წყაროები ამტკიცებენ, რომ მსხვერპლის რიცხვი მშვიდობიან მოსახლეობაში გაცილებით მეტი, რამდენიმე ათეული კაცი იყო (ამის შესახებ დაწვრილებით წერდა «24 საათი»).

ოპოზიციური პარტიის "კომიტეტი-24"-ის წევრის ალიმ შერზამონოვის განცხადებით, უკვე ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად ძლიერი აღმოჩნდება ოპოზიცია. "ამ შემთხვევაში ოპოზიციას ბევრი დაუჭერს მხარს. უნდა აღვნიშნოთ, რომ არსებული ოპოზიცია დაქსაქსული და არასაკმარისად ძლიერია. ერთი კი ნათელია - არსებულ კრიზისში ხალხს ცვლილებები სურს," - განაცხადა მან.

რუსეთში მართლმადიდებელთა რაზმების შექმნა სურთ

პირველი გვერდიდან

თუ დამნაშავე გაქცევას შეეცდება, რაზმის წევრებმა ამაში ხელი უნდა შეუშალონ, ოღონდ უბრალოდ დაიჭირონ, ძალადობის გარეშე. ოტრაკოვსკი ირწმუნება, რომ ასეთ შემთხვევებში ჩხუბი და კონფლიქტები არ მოხდება, რადგან "მართლმადიდებელი ადამიანი ძალიან წყნარი და თავშეკავებულია". მისი აზრით, ასეთი რაზმები მთელს რუსეთში უნდა შეიქმნას, რადგან "მართლმადიდებლებმა თავისი რწმენა უნდა დაიცვან". "ჩვენ არ გვყავს პირადი მტრები, მხოლოდ რწმენის მტრები არსებობენ," - დასძინა მან.

სინოდის იმ განყოფილების ხელმძღვანელმა, რომელიც კურირებს ურთიერთობებს შეიარაღებულ ძალებთან და სამართალდამცავ ორგანოებთან, დეკანოზმა დიმიტრი სმირნოვმა განაცხადა, რომ მოხსენების მომზადებას აპირებს; მასში დაასაბუთებს, რომ საჭიროა მართლმადიდებლური ტაძრების დაცვის გაძლიერება. ამას იგი ტაძრებზე თავდასხმების გახშირებით ხსნის და იმედი აქვს, რომ ეკლესიის მსახურთა უმრავლესობა ამ იდეას მხარს დაუჭერს.

ტაძრებზე თავდასხმებმა ბოლო დღეებში მართლაც იმატა, მას შემდეგ, რაც პანკ-ჯგუფ "Pussy Riot"-ის წევრებს ორი წელი მიუსაჯეს "ანტიპუტინური ლოცვისთვის". რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ხელმძღვანელობამ უკვე განაჩენის გამოტანის შემდეგ (?!) ხელისუფლებას მიმართა თხოვნით - "კანონის ფარგლებში გამოიჩინონ გულმოწყალება მსჯავრდებულების მიმართ იმის იმედით, რომ ისინი მკრეხელური მოქმედებების გამეორებაზე უარს იტყვიან."

რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ოფიციალურმა წარმომადგენელმა, სინოდის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელმა დეკანოზმა ვსევოლოდ ჩაპლინმაც იმედი გამოთქვა, რომ "მართლმადიდებლური პატრულის" იდეას რუსეთის სხვა ქალაქებიც აიტაცებენ. მისი აზრით, ეს არის სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი და ხალხი თავისი სიწმინდეებისა და ტაძრების დასაცავად უნდა გაერთიანდეს.

სხვათა შორის, მართლმადიდებელთა რაზმები რუსეთში 2008 წელსაც შეიქმნა და მაშინაც ამ იდეას დეკანოზმა ვსევოლოდ ჩაპლინმა დაუჭირა მხარი. ამ რაზმების წევრებს იგივე უფლებები ჰქონდათ, რაც სახალხო რაზმების წევრებს.

ამ იდეას ღიად დაუპირისპირდა ადამიანის უფლებათა დამცველი ლიუდმილა ალექსეევა და რუსეთის ომბუდსმენი ვლადიმირ ლუკინი. სკეპტიკურად არიან განწყობილი ასეთი რაზმების მიმართ მუსულმანი სასულიერო პირებიც.

ლუდმილა ალექსეევას აზრით, ასეთი რაზმების შექმნა კონსტიტუციას ეწინააღმდეგება, რადგან რუსეთი მულტირელიგიური და მრავალეროვნული სახელმწიფოა, სადაც მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგია არ არის. ის აცხადებს, რომ თუ მართლმადიდებლები საკუთარ სიწმინდეებს დაიცავენ, სხვა რელიგიების სიწმინდეებსაც დასჭირდებათ დაცვა. ალეკსეევა გამოვიდა ათეისტური რაზმების შექმნის იდეით.

მუსულმანების ცენტრალური სასულიერო სამმართველოს თავმჯდომარის მოადგილემ, მოსკოვის მუფტიიმ ალბირ კრგანოვმა განაცხადა, რომ სახალხო რაზმების იდეა კარგია იმ შემთხვევაში, თუ ისინი რელიგიებისა და ხალხების ერთობის პრინციპით შეიქმნება. მისი აზრით, ნონსენსია მრავალეროვნულ და მულტიკონფესიურ სახელმწიფოში რელიგიური და ეროვნული ნიშნით რაზმების შექმნა. მან თქვა, რომ თუ ყველა ამ პრინციპით შეიქმნის "საკუთარ არმიას" ბაშკირეთში, თათრეთში, ჩუვაშიაში, ბურიატიაში და კავკასიაში, რაღაც გაუგებრობა გამოვა. რუსეთის ისლამური უნივერსიტეტის რექტორმა რაფიკ მუხამეტშინმა განაცხადა, რომ ყველა რელიგიის სიწმინდეები უნდა დაიცვან პროფესიონალებმა, ხოლო მობილური რაზმებით დიდი ეფექტი არ იქნება. რუსეთში თავს ესხმიან არა მარტო ქრისტიანულ ტაძრებს. მაგალითად, რამდენიმე დღის წინ მახაჩყალაში მეჩეთში შეიარაღებული პირი შევარდა და სროლა ატეხა, რის შედეგადაც 8 ადამიანი დაიჭრა.

"მართლმადიდებლური რაზმების" წინააღმდეგ გამოვიდა ომბუდსმენი ვლადიმირ ლუკინი. მან ამას «საშინელი წინადადება» უწოდა და ყველას, მათ შორის, კონსტიტუციის გარანტს საკითხში გარკვევისკენ მოუწოდა. მისი აზრით, "ძალის დოზირებულად გამოყენების უფლება" მხოლოდ სახელმწიფოს აქვს.

ლუკინმა ასევე გადაჭარბებულად მიიჩნია "Pussy Riot"ის წევრებისთვის გამოტანილი განაჩენი და ის ამ ვერდიქტის გასაჩივრების საკითხს სერიოზულად განიხილავს. ლუკინს ამის უფლება ექნება იმ შემთხვევაში, თუ შემდეგი სასამართლო ინსტანცია მას ძალაში დატოვებს. თუმცა იმედი გამოთქვა, რომ სასამართლო აპელაციას უფრო ყურადღებით განიხილავს.

პეტრე ოცხელის პრემია

პირველი გვერდიდან

"პეტრე ოცხელის პრემია" წარმოადგენს ნაციონალურ პროექტს, რომლის მიზანია საქართველოს სახვითი ხელოვნების განვითარებისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობა და არსებული მხატვრული ტენდენციების გამოვლენა. პროექტის მთავარ კომპონენტს წარმოადგენს მასშტაბური ჯგუფური გამოფენა ეროვნულ გალერეაში. შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მიღება შეეძლება საქართველოში მცხოვრებ ყველა სრულწლოვან მხატვარს. კონკურსი სამ ეტაპად განხორციელდება. გამარჯვებული ფინალისტებისთვის გათვალისწინებულია ფულადი პრემია - წლის საუკეთესო მხატვარი - პრიზი 5000 ლარი; წლის აღმოჩენა /30 წლამდე მხატვარი/ - პრიზი 3000 ლარი და წლის საუკეთესო მულტიმედიური პროექტი - პრიზი 3000 ლარი.

პეტრე ოცხელის პრემია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ნიკოლოზ რურუას ინიციატივით 13 ივლისს დაწესდა, დიმიტრი შევარდნაძის 105 წლის იუბილეზე, რომელიც ეროვნულ გალერეაში მხატვრის რეტროსპექტული ექსპოზიციით აღინიშნა. ხელოვნების მოყვარულებს გამოფენის ნახვა 10 სექტემბრამდე შეუძლიათ. დაინტერესებულებს კი შევახსენებთ, რომ ექსპოზიციაზე წარმოდგენილია პეტრე ოცხელის მიერ გაფორმებული სპექტაკლების დეკორაციებისა და კოსტიუმების 200-მდე ესკიზი, დაზგური ფერწერის ნიმუშები, აგრეთვე, ფოტოები და უნიკალური დოკუმენტები საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმისა და კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მუზეუმის კოლექციებიდან.

ამ ნამუშევრებში გვხიბლავს მხატვრის დახვეწილი გემოვნება, კოლორიტის ფაქიზი გრძნობა, პოეტურობა, სცენის სივრცის აღქმის უტყუარი ალღო, ეპოქისა და ნაწარმოების შინაგანი არსის ღრმა წვდომის უნარი. 1927-28 წლებში სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში, 1927 წლიდან კი უკვე აფორმებს სპექტაკლებს. უკვე 1928 წელს ის მუშაობს კოტე მარჯანიშვილთან, რომელმაც ახალგაზრდა მხატვარი ქუთაისის ქართული დრამის სახელმწიფო თეატრში მიიწვია, სადაც ოცხელმა გააფორმა შ. დადიანის "კაკალ გულში" (1928) და კ. გუცკოვის "ურიელ აკოსტა" (1929). ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მხატვარმა თავისი ნიჭისა და მხატვრული ხედვის წყალობით შექმნა განზოგადების ძალის მქონე მოცულობითი ესკიზები. 1931 წელს კოტე მარჯანიშვილმა მოსკოვის კორშის თეატრში დადგა ჰ. იბსენის "მშენებელი სოლნესი". სპექტაკლის გასაფორმებლად რეჟისორმა ოცხელი მიიწვია. სპექტაკლის მხატვრობას უდიდესი წარმატება ხვდა. 1936-1937 წლებში ოცხელმა მოსკოვის მცირე თეატრში გააფორმა ფ. შილერის "ვერაგობა და სიყვარული" და ვ. გუსევის "დიდება", ამავე თეატრის ფილიალში - ლოპე დე ვეგას "ცხვრის წყარო". 1937 წელს კ. სტანისლავსკის მიერ მოწყობილ ჯ. ვერდის "რიგოლეტოს" დადგმის კონკურსზე ოცხელის ესკიზებმა პირველი პრემია დაიმსახურა. 1939 წელს ლონდონში თეატრის მხატვართა გამოფენაზე პეტრე ოცხელის ესკიზები ოქროს დიდი მედლით დააჯილდოვეს. წარმატებები მის გამოფენებს სხვა დროსაც ხვდა წილად, თუმცა მისი ბიოგრაფია 1937 წელს წყდება. პეტრე ოცხელი 37 წლის რეპრესიებს შეეწირა. მან მხოლოდ 9 სეზონი იმუშავა თეატრში, მაგრამ მოკლე დროში შექმნა ნაწარმოებები, რომელთაც არსებითი როლი შეასრულეს ქართული თეატრის სახის შექმნაში.

მხატვრის მოღვაწეობა 30 წლის ასაკში შეწყდა. მისი პერსონა კი ფართო საზოგადოებისთვის აღბათ, უმთავრესად, ორი რამის გამო გახდა ლეგენდა - ტრაგიკული ბიოგრაფიისა და მისი იმ გრაფიკული სილუეტების გამო, რომელიც ყველას მეხსიერებაში რჩება, რადგანაც ეს სილუეტები მძაფრად გამოხატავს თავისი ეპოქისა და გარემოსგან საოცრად განსხვავებულ ენერგიასა და ინდივიდუალობას. დღეიდან კი მის სახელს ახალი ლეგენდა შეემატება - ნებისმიერი კონკურსი თუ პრემია ხომ ახალ ინსპირაციას უდებს სათავეს.

პი ცხოვრებას ნიუ იორკში დაიწყებს

ნიუ იორკის 50-ე კინოფესტივალს რობერტ ზემეკისის "გაფრენა" დახურავს

ია ვეკუა

წელს ნიუ იორკის კინოფესტივალი იუბილარია, ამიტომ მისი ორგანიზატორები ყველანაირად ცდილობენ, ეს კინომოვლენა ნამდვილ დღესასწაულად აქციონ. წინასწარი მონაცემებით ასეც იქნება - 50-ე კინოფესტივალი, რომელიც 28 სექტემბრიდან 14 ოქტომბრამდე გაიმართება, განსაკუთრებული ჩვენებებით იქნება გამორჩეული. ფესტივალს გახსნის ფილმი, რომელსაც უკვე უწინასწარმეტყველებენ წლის ერთ-ერთ მოვლენად ქცევას. ეს გახლავთ ტაივანელი ენგ ლის ბოლო ნამუშევარი "პის ცხოვრება", რომლის ტრაილერმაც უკვე შეძლო კინომოყვარულთა მოხიბვლა.

"პის ცხოვრება" კანადელი იან მარტელის საკულტო ნაწარმოების ეკრანიზაცია გახლავთ. რომანმა 2002 წელს ბუკერის პრემია მიიღო და არც მკითხველის დადებითი შეფასება მოჰკლებია. ეს გახლავთ, ერთი შეხედვით, სათავგადასავლო ჟანრის რომანი, რომლის მეორე მხარეც სამყაროს აგებულების შესახებ განსჯასა და ფიქრებს ეთმობა. მისი პროტაგონისტი ინდოელი ბიჭუნა პი პატელი გახლავთ, რომელიც ხომალდის კატასტროფის შემდეგ ოკეანის ტალღებზე მოდრეიფე ნავზე აღმოჩნდება. ის აქ მარტო არაა - ნავზე ბენგალური ვეფხვია ჩასაფრებული, მაგრამ არა ისე, როგორც ეს ენგ ლის სხვა ფილმშია - ვეფხვი აქ სავსებით რეალურია, ნამდვილი ეშვებით, კლანჭებითა და ცოცხალი ხორცის მიმართ ცხოველი ინტერესით. ორი "მეგობარი" ერთად აგრძელებს ნავით "მოგზაურობას" და სწორედ ოკეანის უსაზღვრო სივრცეში აწყდებიან იმ ბარიერებსა თუ აღმოჩნებს, რაც ადამიანებსა და ცხოველებს შორის შეიძლება არსებობდეს. მათი უსიტყვო ურთიერთობა ინტერესსა და შეუცნობელის გაგების ზღვარზე გადის და ნელ-ნელა აგებს ხიდს, რომელიც სამყაროს ამ ორი ნაწილის ერთობლიობისა და განუყოფლობის სიმბოლოდ იქცევა.

"პის ცხოვრება" სიმბოლოებითა და ფილოსოფიური წიაღსვლებითაა სავსე, რისი ეკრანიზებაც სათანადო დონეზე არც თუ ბევრ რეჟისორს ხელეწიფება. მათ შორის კი ნამდვილად გახლავთ ენგ ლი, თუმცა ლიმდე ამ პროექტის განხორციელებას არა ნაკლები გაქანების მქონე რეჟისორები - ალონსო კუარონი, ჟან პიერ ჟენე და მ. ნაით შამალანი აპირებდნენ. საბოლოოდ ფილმის რეჟისორის სავარძელში ენგ ლი აღმოჩნდა, მსოფლიოს ალბათ ერთ-ერთი ყველაზე მრავალმხრივი რეჟისორი, რომელსაც ერთნაირი წარმატებით შეუძლია გადაიღოს ჯეინ ოსტინის ძალიან ინგლისური "გონება და გრძნობა", ამერიკული ოჯახური დრამა "ყინულოვანი შტორმი", ჩინური ზღაპარი "ჩასაფრებული ვეფხვი, მიმალული დრაკონი", ცნობილი კომიქსის ეკრანიზაცია "ჰალკი" და სიყვარულზე გადაღებული ერთ-ერთი საუკეთესო დრამა "კუზიანი მთა".

"პის ცხოვრება" ენგ ლის ფილმოგრაფიის ალბათ ყველაზე ორიგინალური ნამუშევარი იქნება, რაზეც ინტერნეტში არსებული ვიზუალური მასალაც მოწმობს. რეჟისორი და მასთან შეწყვილებული ოპერატორი კლაუდიო მირანდა მინიმალისტური საშუალებებით გადმოგვცემენ ოკეანის საოცარ პეიზაჟებს, მცხუნვარე მზის ქვეშ გათანგული მოგზაურების განცდებს, რასაც დროდადრო ინდოეთის ფერადი სურათები ცვლის.

აღსანიშნავია, რომ ენგ ლის ფილმს ერთხელ უკვე გახსნილი აქვს ნიუ იორკის კინოფესტივალი - ეს 1997 წელს მოხდა, როდესაც ლიმ "ყინულოვანი შტორმი" გამოშვა, ხოლო მისმა "ჩასაფრებული ვეფხვი, მიმალული დრაკონმა" 2000 წელს იგივე ფესტივალი დახურა.

რაც შეეხება ნლევანდელი ფესტივალის დახურვის ფილმს, ეს გახლავთ ამერიკელი რობერტ ზემეკისის "გაფრენა". ფილმის ანოტაციით თუ ვიმსჯელებთ, მასში განსაკუთრებული არაფერი ხდება: ავიალაინერის პილოტი ავარიულ დაშვებას ახორციელებს, ყველა მგზავრი უვნებელია, მაგრამ ექსპერტიზა მის სისხლში ალკოჰოლს აღმოაჩენს, რის გამოც პასუხისგება ემუქრება. ანოტაცია რაღაცით რამდენიმე დღის წინ ტრაგიკულად დაღუპული ტონი სკოტის ფილმებს მოგვაგონებს, მით უმეტეს, რომ პილოტის როლში დენზელ ვაშინგტონია. საბედნიეროდ, საქმე რობერტ ზემეკისს ეხება, რეჟისორს, რომელიც კარიერის დასაწყისიდან ნოვატოობით გამოირჩევა და მერე რა, რომ მისი ყველა ნოვაცია ძირითადად ტექნოლოგიურია. სწორედ მისი გახლავთ იმ დროისთვის ჩინებული ვიზუალური ეფექტებით სავსე ტრილოგია "უკან ნომავალში", რასაც მხატვრული და ანიმაციური კინოს გაერთიანების პირველი წარმატებული მცდელობა "ვინ დაასმინა ბოცვერი როჯერი" მოჰყვა. 90-იანების დასაწყისში გამოვიდა ასევე საოცარი ეფექტებით სავსე "სიკვდილი მას უხდება", 1994 წელს კი რობერტ ზემეკისმა შესანიშნავი "ფორესტ გამპი" გამოუშვა. 2000-იან წლებში რობერტ ზემეკისს პრაქტიკულად არ უმუშავია ცოცხალ მსახიობებთან - ათი წელი მან კომპიუტერულ ანიმაციაში გაატარა და ერთმანეთის მიყოლებით გამოუშვა "პოლარული ექსპრესი", "ბეოვულფი" და "საშობაო ზღაპარი". სწორედ ზემეკისის კინოგონების არასტანდარტულობა იძლევა იმედს, რომ "გაფრენა" სიუჟეტისგან შედარებით შორს გაფრინდება და ნიუ იორკის კინოფესტივალი მართლაც ღირსეული ფილმით დაიხურება.

ბაგატსკისმა ერთი ცვლილება განახორციელა

საქართველოს საკალათბურთო ნაკრებმა ევრობასკეტ 2013-ის შესარჩევი ციკლი ბრწყინვალედ დაიწყო. პირველ მატჩში იგორ კოკოშკოვის შეგირდებმა ჯგუფის ერთ-ერთ აუტსაიდერს, რუმინეთს, თბილისში მოუგეს. მეორე შეხვედრაში კი სტუმრად დაამარცხეს ჯგუფის ფავორიტი ბოსნია.

24 აგვისტოს საქართველოს ნაკრები თბილისში ჩვენი ჯგუფის კიდევ ერთ ფავორიტს - ლატვიის ნაკრებს უმასპინძლებს. ამ გუნდს ავარჯიშებს აინარს ბაგატსკისი, რომელიც ქართულ კალათბურთს კარგად იცნობს. თავის დროზე ის საკალათბურთო კლუბ "სოხუმის" თავკაცი იყო. საქართველოს ნაკრების დარად, ლატვიელებსაც ორი მატჩი აქვთ გამართული, ოღონდ ორიდან მხოლოდ ერთი მოიგეს.

აინარს ბაგატსკისმა უკვე დაასახელა იმ 12 კალათბურთელის ვინაობა, რომლებიც თბილისურ მატჩში ითამაშებენ. ლატვიელთა თავკაცმა თავის გუნდში ერთი ცვლილება განახორციელა. ჰოლანდიის ნაკრებთან შეხვედრაში ლატვიის ნაკრების რიგებში მარტინს ლაკსამ ითამაშა, თბილისში კი მის ნაცვლად როლანდს ფრეიმანისი ჩამოვა. ლატვიის ნაკრების სრული შემადგენლობა ასე გამოიყურება:

იანის სტრელნიეკსი, ედგარს იერომანოვსი, კასპარს ვეჩგვაგარსი, დაირის ბერტანსი, რიჰარდს კუკსიკსი, დავის ბერტანსი, მარეკს მეიერისი, არტურს ბერზინსი, როლანდს ფრეიმანისი, ანდრეს სელაკოვსი, კასპარს ბერზინსი, მარტინს მეიერსი.

ნანი "ზენიტში" ქინქლაძეს გადაყვა

"მანჩესტერ იუნაიტედისა" და პორტუგალიის ნაკრების შემტევი ნახევარმცველი ნანი უახლოესი ცხრა დღის განმავლობაში, შესაძლოა, სანკტ პეტერბურგის "ზენიტის" ფეხბურთელი გახდეს. ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი რუსული კლუბი ("ზენიტის" მთავარი დამფინანსებელი "გაზპრომია") კარგა ხანია ნანიზე ნადირობს. თავისთავად ეს ინფორმაცია ჩვენს ყურადღებას არ მიიქცევდა, რომ არა ერთი ფაქტი. პრესტიჟულ საფეხბურთო სააგენტო Goal.com-ის ინფორმაციით, ნანის ტრანსფერი გიორგი ქინქლაძის მეშვეობით უნდა განხორციელდეს.

Goal.com-ის მიერ "მანჩესტერ სიტის" ლეგენდად წოდებული ქინქლაძე ამჟამად საფეხბურთო აგენტია. გიორგის მანჩესტერშიც აქვს კარგი კავშირები და რუსეთშიც.

"მილანი" დე იონგით დაინტერესდა

ჰოლანდიის ნაკრებისა და ინგლისური "მანჩესტერ სიტის" მცველი ნაიჯელ დე იონგი, შესაძლოა, "მილანის" ფეხბურთელი გახდეს. მას შემდეგ, რაც "სიტიმ" "ევერტონისგან" ჯეკ რიდუელი იყიდა, რობერტო მანჩინიმ გადაწყვიტა დე იონგი გუნდიდან გაუშვას.

ჰოლანდიელის ტრანსფერი 13 მილიონ ევროდ არის შეფასებული. "მილანის" გარდა, დე ინგის შეძენით "ინტერი" და "ბაიერნიც" არიან დაინტერესებული.

ადრიანო კიდევ ერთხელ დაბრუნდა

მილანის "ინტერისა" და ბრაზილიის ნაკრების ყოფილმა ფორვარდმა ადრიანომ კარიერის დასრულება გადაიფიქრა და უკვე მეორედ უბრუნდება ბრაზილიურ კლუბ "ფლამენგოს".

კლუბის პრესსამსახურის ინფორმაციით, ადრიანომ "ფლამენგოსთან" 2012 წლის ბოლომდე გააფორმა კონტრაქტი. ამ კლუბში ადრიანო ადრეც თამაშობდა (2000-2001, 2009-2010).

ადრიანომ მარტო ბრაზილიის ნაკრებსა და "ინტერში" თამაშით როდი გაითქვა სახელი. ის ერთ-ერთი ყველაზე ჭირვეული და თავნება ფეხბურთელია. ადრიანო ხშირად არღვევდა სპორტულ რეჟიმს და დროდადრო, დღეების განმავლობაში, გადაბმულად ლოთობდა. ერთხანს ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ დეპრესიის გამო ადრიანო თავის მოკვლას ცდილობდა.

ადრიანოს უკანასკნელი კლუბი იყო "კორინთიანსი", საიდანაც ის დისციპლინის დარღვევის გამო გააგდეს.

გაზაფხულზე ადრიანომ ოპერაცია გაიკეთა და განაცხადა, რომ ფეხბურთს თავს დაანებებს, თუმცა, მერე გადაიფიქრა და, როგორც ვთქვით, "ფლამენგოსთან" გააფორმა კონტრაქტი.

ბოლტი პროფილს იცვლის

ოლიმპიური თამაშების ექვსგზის ჩემპიონს იამაიკელ სპრინტერს უსეინ ბოლტს არაერთხელ უთქვამს, რომ "მანჩესტერ იუნაიტედის" დიდი ქომაგია და რომ ალექს ფერგიუსონსაც მიმართა თხოვნით ათამაშოს ფეხბურთი, მაგრამ ახლა საკუთარი შესაძლებლობების გამოცდა სპორტის სხვა სახეობებში სურს.

"ოთხი წლის შემდეგ რიოს ოლიმპიურ თამაშებზეც ვაპირებ ასპარეზობას. მაღთალია, იქ ცოტა რთული იქნება წარმატებაზე ფიქრი, მაგრამ მაინც მგონია, რომ დაკისრებულ მოვალეობას გავართმევ თავს, - აცხადებს 26 წლის პეკინისა და ლონდონის ოლიმპიური თამაშების ტრიუმფატორი. - ბევრი რამ შეიძლება დაისახო მიზნად. სპორტში ბევრი ისეთი რამეა, რისი გაკეთებაც შემიძლია. ჩემს მწვრთნელს უნდა, რომ 400 მეტრზე რბენაშიც მოვსინჯო ძალები, მე კი ვფიქრობ სიგრძეში ხტომაში გამოვცადო თავი. სეზონის დასრულების შემდეგ ერთად გავერკვევით მომავლის გეგმებში".

მერაბ შარიქაძე - ქართული დესანტი ინგლისურ რაგბიში

მერაბ შარიქაძე საქართველოს სარაგბო ნაკრების ერთ-ერთი ლიდერია. არადა, ის ნაკრების ყველაზე ახალგაზრდა წევრია. საქართველოს ნაკრების რაგბის კავშირის ვებგვერდზე გმოქვეყნდა მერაბის ვრცელი ინტერვიუ, რომლითაც მკითხველი უფრო ახლოს გაიცნობს მორაგბეს. ვფიქრობთ, ეს ინტერვიუ არც ჩვენი მკითხველისთვის იქნება ინტერესმოკლებული.

- როდის და სად დაიწყე რაგბის თამაში?

- 12 წლის ვიყავი, როდესაც "აკადემიის" გუნდში შევედი. მწვრთნელი ლევან ობოლაძე იყო, შემდეგ - როლანდ ბატოიანი. ბოლოს, როცა პირველ გუნდში მოვხვდი, პაატა ნარიმანაშვილი, გია ღლონტი და დიმა ობოლაძე გვავარჯიშებდნენ. ძალიან კარგი და მეგობრული წრე შეიკრა. ალბათ, ამანაც განაპირობა ის, რომ რაგბი ასე შემიყვარდა.

- ჰართფურის უნივერსიტეტში როგორ მოხვდი?

- საქართველოს რაგბის კავშირსა და ჰართფურის უნივერსიტეტს შორის გაფორმდა ორმხრივი შეთანხმება, რომლის საფუძველზეც ჰართფურის აკადემიამ საქართველოს რაგბის კავშირს პერსპექტიული მორაგბეებისთვის გამოუყო სასწავლო სტიპენდია. საქართველოს რაგბის კავშირის სანაკრებო სამწვრთნელო შტაბმა რამდენიმე მორაგბესთან ერთად სხვადასხვა კრიტერიუმის გათვალისწინებით მეც შემარჩია. ასე მოვხვდით მე, გიორგი ტყეშელიაძე და სანდრო ნიჟარაძე ინგლისში და ჰართფურის უნივერსიტეტში ჩავირიცხეთ. წელს სანდრო საქართველოში ბრუნდება. მის ნაცვლად ჩემი ყოფილი თანაგუნდელი ივა დავითაშვილი ჩამოვა. უნივერსიტეტის გუნდში ვთამაშობ და რადგან ჰართფურის უნივერსიტეტს მჭიდრო კავშირი აქვს "გლოსტერის" გუნდთან, მომეცა საშუალება, გლოსტერელ თანატოლებთან ერთადაც მეთამაშა.

- როგორ შეეჩვიე ინგლისს, სწავლა არ გაგიჭირდა ?

- აქაურობა ძალიან მომწონს. თავიდან ცოტა გამიჭირდა. ჰართფურის უნივერსიტეტში მარტო რაგბის თამაში საკმარისი არ არის. აუცილებელია კარგადაც ისწავლო. ჩემი ინგლისურის ცოდნა სრულფასოვანი სწავლისთვის საკმარისი არ იყო. ამიტომ ბევრი მეცადინეობა დამჭირდა იმისთვის, რომ რაგბის თამაშთან ერთად კარგადაც მესწავლა. უკვე ერთი წელია აქ ვარ და ნელ-ნელა შევეჩვიე ასეთ გრაფიკს. კოლეჯი დავამთავრე, გამოცდები ჩავბარე და უკვე ინსტიტუტში ჩავირიცხე.

- საქართველოს ნაკრები ?

- საქართველოს ნაკრებში თამაში ჩემი ოცნება იყო. ყველა ასაკობრივ ნაკრებში მოვხვდი, კაპიტანიც ვიყავი, თუმცა, ეროვნულ ნაკრებში თამაში სულ სხვა გრძნობაა.

ნაკრების მენეჯერი ვასილ აბაშიძე დამიკავშირდა და მითხრა, რომ რაგბის კავშირში პასპორტი მიმეტანა, თუმცა, მიზეზი არ უთქვამს. შემდეგ ილია მაისურაძემ მითხრა, რომ ეროვნული ნაკრების კანდიდატად მთვლიდნენ და გაფართოებულ სიაში ვიყავი. მერე 19 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე წავედი. მერე ისევ ინგლისში დავბრუნდი, სადაც კვლავ ვასო დამიკავშირდა და მითხრა, რომ ევროპის ერთა თასზე ესპანეთთან მატჩის განაცხადში ვიყავი. თუმცა, ნაკრებში გამოძახებას სიურპრიზის გარეშე არ ჩაუვლია. ორი კვირით ადრე ჰართფურის უნივერსიტეტის გუნდში თამაშისას ტვინის შერყევა მივიღე. კლუბის ხელმძღვანელობა საქართველოს რაგბის კავშირს დაუკავშირდა და უთხრა, რომ ტრავმა მქონდა და ჩემი თამაში არ შეიძლებოდა. არადა, თავს კარგად ვგრძნობდი, ტრავმა მთლიანად მოშუშებული მქონდა. ეს ყველაფერი ისე მოხდა, რომ მე არ ვიცოდი. საბუთები უკვე მზად მქონდა და ესპანეთთან მატჩზე ვფიქრობდი. ინტერნეტში ნაკრების შემადგენლობა ვნახე და გამიკვირდა, როცა ჩემი გვარი ვერ ვიპოვე. დავუკავშირდი ნაკრების მენეჯერს და გავიგე, რაშიც იყო საქმე. ამის შემდეგ ვასო აბაშიძე ელაპარაკ მილტონ ჰეიგს და უთხრა, რომ არავითარი ტრავმა აღარ მქონდა. ასე შედგა ჩემი დებიუტი ნაკრებში.

- ნაკრებში ყველაზე ახალგაზრდა ხარ?

- სწორედ ამიტომაც დამნიშნეს მესაათედ. ჩემ შემდეგ ვინც მოვა, დაგვიანებულია და დღის ბოლოს მთელი გუნდი ერთად ვიგონებთ მისთვის სასჯელს. ყველანი განსაკუთრებულად მექცევიან. ყველანი გვერდში მიდგანან და მეხმარებიან, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი.

- მილტონ ჰეიგსა და ნაკრების სამწვრთნელო შტაბზე რას იტყვი?

- ნაკრებს ძლიერი სამწვრთნელო შტაბი ჰყავს. მიხარია, რომ სწორედ ასეთმა ძლიერმა მწვრთნელებმა მომცეს თავის გამოჩენის საშუალება. ბიჭები მეხუმრებიან, ჰეიგის შვილობილი ხარო. მათი უმეტესობა საფრანგეთში თამაშობს და ინგლისური კარგად არ იციან. ამიტომ მე ხშირად მიწევს თარჯიმნობა, რის გამოც, სხვებთან შედარებით, მილტონ ჰეიგთან ხშირად მიწევს ურთიერთობა.

- შენი მშობლები რას ფიქრობენ რაგბიზე?

- თავიდან სკეპტიკურად უყურებდნენ - კონტაქტური სპორტია და ეშინოდათ, ტრავმა არ მიმეღო. ახლა ყველაფერი შეიცვალა. შეიძლება ითქვას, რომ ჩემი მშობლები რაგბიში კარგად გათვიცნობიერებული ხალხია. თამაშს არ აცდენენ. თან, როგორც გითხარით, ჰართფურის უნივერსიტეტში სწავლის გარეშე არაფერი გამოვა, რაც ჩემებს ძალიან მოსწონთ.

- პირად ცხოვრებაზე რას გვეტყვი - გავიგე, თბილისში მარტო არ ხარ ჩამოსული...

- ყველაფერი გცოდნიათ და რაღა მოგიყვეთ... ქერელაინი ინგლისში გავიცანი. კარგი გოგოა. ახლა საქართველოშია და აქაურობა ძალიან მოსწონს. ჯერჯერობით მეტს ვერაფერს გეტყვით, რადგან რაიმე სერიოზულზე ლაპარაკი ადრეა.

- ინგლისში როდის ბრუნდები?

- 10 სექტემბერს მივდივარ და მხოლოდ ნაკრების ტესტ-მატჩებსა და ერთა თასზე ჩამოვალ.

ლონდონის ოლიმპიური თამაშების ციტატათა კრებული

ნატალი კუკი: "ქალის სხეული - ეს ხელოვნების ნიმუშია"

ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე ოლიმპიური, მსოფლიო თუ თავისებური რეკორდების დარად, ამა თუ სპორტსმენის ციტატებიც საყოველთაო განსჯის საგანი იყო. ახლა ჩვენ სწორედ ასეთი ციტატების ერთგვარ კრებულს გთავაზობთ...

- "აქ სწორედ ამიტომ მოვედი. მე ახლა ლეგენდა ვარ", - 100 და 200 მეტრზე ტრიუმფალური გამარჯვებების შემდეგ ამბობდა იამაიკელი სპრინტერი უსეინ ბოლტი.

- "ქალის სხეული - ეს ხელოვნების ნიმუშია. ყველას უყვარს მისი ყურება. განსაკუთრებით სპორტის დინამიკურ და ათლეტურ სახეობაში", - პლაჟის ფრენბურთში სიდნეის ოლიმპიური თამაშების ავსტრალიელმა ჩემპიონმა ნატალი კუკმა ეს სიტყვები მისთვის საყვარელ სახეობაში ბიკინებით თამაშის დასაცავად თქვა.

- "მზად ვარ ნებისმიერს შევებრძოლო, ვინც მასზე ფეხს შემოდგამს. საჭიდაო ხალიჩაზე ინგლისის დედოფალიც რომ გამოსულიყო, ალბათ, მასაც შევბოჭავდი", - 74 კილოგრამ წონით კატეგორიაში ჩემპიონობის შემდეგ თქვა თავისუფალი სტილით მოჭიდავემ, ამერიკელმა ჯორდან ბაროუზმა.

- "ძნელია მომხდარის ინგლისურად გადმოცემა, მაგრამ უფრო ძნელია ამის შვედურად აღწერა", - ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე ჩემპიონობით განცდილი ემოციების გადმოცემა გაუჭირდა შვედეთში დაბადებულ, დღეს კი აშშ-ის ქალთა საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელს პია სუნდჰაგეს.

- "იმას, რომ ვიღაცას შეუძლია დაამხოს ჩემი რეკორდი, არ განვიცდი. ჩემი რეკორდი მარადიულია. სულ ცოტა, ათი წელიწადი ვერავინ შეძლებს მის გაუმჯობესებას. მხოლოდ არანორმალურები ხტებიან ასეთ სიმაღლეებზე. მე არანორმალური ვარ და ამიტომ გამომდის ეს საქმე", - ჭოკით ხტომაში დაკავებული მესამე ადგილის შემდეგ თავის შესაძლებლობებს უსვამდა ხაზს რუსი ელენა ისინბაევა.

- "დარბაზში მოსულებმა დავინახეთ ის, რაც არც ერთ ჩვენგანს არ ენახა ცხოვრებაში. რუსი ათლეტები აკეთებდნენ გაწელვას, საკუთარ ფეხებს უკეთებდნენ იმას, რაც აქამდე ფიზიკურად შეუძლებლად გვეჩვენებოდა", - რუსეთის ნაკრების წევრთა სავარჯიშო მეთოდით გაოცებას ვერ ფარავდა დიდი ბრიტანეთის საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელი სტიუარტ პირსი.

- "იმედია, ამ მედლის შემდეგ პატარები მოისვრიან პისტოლეტებსა და დანებს და რამდენიმე მწვრთნელს აიყვანენ", - ამბობს 20 კილომეტრზე სპორტულ სიარულში ვერცხლის პრიზიორი, გვატემალელი ერიკ ბარონდო.

- "ყველაფერი, რასაც მივაღწიე, მძიმე შრომისა და ვარჯიშის შედეგია. არასდროს გამომიყენებია დოპინგი. ჩინელები ამ საქმეში სუფთები არიან", - ამბობს ჩინელი მოცურავე ე შივენი, რომელმაც 400 მეტრზე კომპლექსურში ბოლო 50 მეტრი ამერიკელ ჩემპიონზე რაიან ლოჰტეზე სწრაფად გაცურა (ლოჰტემ ბოლო 50-მეტრიან მონაკვეთში ტემპი დააგდო. მიუხედავად ამისა, ყველა ლაპარაკობდა 16 წლის გოგონას ვაჟთან უპირატესობასა და არარეალურ სურათზე).

- "იმის გათვალისწინებით, რომ არიელი ცხრა წლიდან მამარცხებს, შემიძლია დავადასტურო მისი ნიჭი", - ასეთ შეფასებას აძლევს ცნობილი მილიარდერი ბილ გეიტსი მაგიდის ჩოგბურთში აშშ-ის ნაკრების 16 წლის წევრს არიელ ჰსინგს.

- "ვთქვი: "აქ მედალი უნდა მოვიპოვოთ-მეთქი". სუპერწინათგრძნობა მქონდა. ვგრძნობდი რაღაც დიდს, მაგრამ ახლა უფრო დიდის შეგრძნება მაქვს - ძლიერი ტკივილის", - ლონდონში ჯგუფურ რბოლაში წაქცევას იხსენებს პეკინის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, შვეიცარიელი ველომრბოლელი ფაბიან კანჩელარა.

- "როდესაც ბავშვი შემარყევს, ამოვისუნთქავ და საკუთარი თავის დამშვიდებას შევეცდები. ბავშვს კი ვეტყვი: "ხელში აიყვანე საკუთარი თავი და დაეხმარე დედას სროლაში", - მალაიზიელმა ტყვიის მსროლელმა ნურ სურიანი მოჰამედ ტაიბიმ, რვა თვის ორსულობის მიუხედავად, უარი არ თქვა გამოსულიყო ოლიმპიურ თამაშებზე.

ვიქტორ სანიკიძის Top 15

პირველი გვერდიდან

ხელს უშლი, ცდილობ, პრობლემა შეუქმნა და მაინც გიგდებს. გარედან ბევრი ჩაყარა და ზოგჯერ შეუჩერებელი იყო. მაღალი დონის მოთამაშეა. ის ამერიკაშიც ბევრს მიაღწევს. "ბრუკლინში" ტელეტოვიჩი ერთ-ერთი ლიდერი იქნება.

2. **ვის წინააღმდეგაც გითამაშია, დაასახელე მათი Top 5.** - 1. ტონი პარკერი. საუკეთესო ფლეიმეიქერი სამწამიანში შესვლის პროცესში; 2. ბო მაკალები - ყველაზე სწრაფი და ათლეტური დაბალი მოთამაშე; 3. ანდრეი კირილენკო - ყველაზე გამორჩეული უნივერსალი და ჭკვიანი ტიპი; 4. ტელეტოვიჩი - No range; სერიოზული კაცია; 5. დევიდ ანდერსენი - კლასი და ელეგანტური თამაში. ძალიან ჭკვიანი ცენტრია. ნორმალური ხუთეული გამოვიდა.

3. **რა დროა საჭირო, რომ საქართველოს ნაკრებშიც ამ დონის პირველი ხუთეული გვყავდეს?** - ძალიან დიდი დრო.

4. **"დინამოში" თამაშის დროს გეგონა, რომ ამ დონემდე გაქაჩავდი?** - არა, არ მეგონა. მაშინ ძალიან ცუდი პერიოდი მქონდა. მუხლზე გამიკეთეს ოპერაცია, სარეაბილიტაციო კურსი გაიწელა. მიდიხარ ახალ წრეზე. ვიყავი სან ანტონიოში და ვნახე, რა არის რეალური, უმაღლესი დონის კალათბურთი. ჩავდივარ ესპანეთში, იქ ცოტას, თითქმის არ ვთამაშობ და ეს ორმაგად ძნელია. ჩათვალეთ, რომ ორი სეზონი გამიცდა. მერე მოდის "დინამო". ნებისმიერი სპორტსმენისთვის ყველაზე უსიამოვნოა ტრავმა და იმ დროს ძალიან ბევრი ტრავმა მქონდა.

სანიკიძე და პეტერი კოპონენი

5. **საკუთარი პოტენციალის რამდენი პროცენტი გამოიყენე?** - ალბათ, დაახლოებით 40 პროცენტი.

6. **დანარჩენი 60 როდის უნდა აითვისო?** - ასათვისებელი დრო ჯერ არის. ყველაფრის მოსწრება ძნელია, მაგრამ საკუთარ თავზე ვმუშაობ და ვიცი, რომ მეტს მივაღწევ. ვიცი, რომ მეტი შემიძლია.

7. **პეტერი კოპონენთან ერთად "ვირტუსში" კარგი პერიოდი გაქვს გატარებული. გაიხსენე ფინელი** - კოპონენი კარგი მოთამაშე და ჩემი მეგობარია. ადრე 20 წლამდელების ევროპაზე მოვუგეთ ფინეთს. იმ დონეზე ჩემი ბოლო ჩემპიონატი იყო. ფინეთს ნახევარფინალში ვუგებთ. კოპონენი ყოველთვის გამორჩეული, პოპულარული მოთამაშე იყო. მერე პეტერი გაიდრაფტა, მეც ზაფხულის ლიგაზე ჩავედი და იქ ვნახე. კოპონენი მიდის "ვირტუსში" და თავიდან თითქმის არ თამაშობს. იმ დროს გუნდში იყო ერლ ბოიკინსი და მწვრთნელებიც უფრო ამერიკელს ენდობოდნენ. ბოიკინსი გამოცდილი მოთამაშეა. ის მწვრთნელი წავიდა. ბოიკინსიც წავიდა და ახალმა მწვრთნელმა კოპონენს სრული თავისუფლება მისცა. ერთბაშად გაიხსნა. აკრიფა. ეტყობოდა, რომ ენატრებოდა მაღალ დონეზე თამაში. შარშან პეტერ კოპონენი იტალიის ჩემპიონატის საუკეთესო მეორე ნომერი იყო.

8. **პირად ცხოვრებას დიდ დროს უთმობ?** - თუ ამ კითხვასაც პროცენტულად გავივლით, პირადულს 30 პროცენტი და კალათბურთს - 70. ჯერ ასეა და ვნახოთ, რა შეიცვლება.

9. **ბოლოს რა ფილმს უყურე?** - Project X. ძალიან კარგია, გირჩევ, უყურო. სამ ტიპზეა, გოგოებს რო ვერ კერავენ და მერე მაგარი ამბები მოდის. უყურე...

10. **რას უსმენ?** -ყველაფერს. პოლ მაკარტნის, რეპს, ნიაზ დიასამიძეს. მუსიკა გემოვნებიანი და კარგი მოსასმენი უნდა იყოს. ხანდახან მძიმესაც, KREATOR-ს.

11. **იცი, რა ხდება მსოფლიოში?** - ინტერნეტი ყველაფერზე ამომწურავ ინფორმაციას გაძლევს. ვთვლი, რომ შენთვის საჭირო რაღაცეები უნდა მიიღო და დანარჩენი ინფორმაცია მოიშორო. რაც არ გჭირდება, ის ყოველთვის ზედმეტია.

12. **ფეისბუქზე ხშირად ხარ?** - არა. ფეისით არ ვიღლები. ზოგი ფეისბუქით დაავადდა. ცოლი ქმარს ფეისით სიყვარულს უხსნის, წერს, რომ ენატრება და ქმარიც იგივე რომანტიკით პასუხობს. ჯანსაღი ურთიერთობაა...

13. **ფეისით განცობილ გოგოს ცოლად მოიყვან?** - რატომაც არა! გოგოს გააჩნია.

14. **ბევრს კითხულობ?** - სულ რაღაცას ვკითხულობ.

15. **ვიკა სანიკიძე კალათბურთელი რომ არ გამოსულიყო...** - ჩააბარებდა დიპლომატიურზე. ან არ ჩააბარებდა დიპლომატიურზე. ყველა შემთხვევაში სადმე ვისწავლიდი და ჩემს მომავალს მე თვითონ მივხედავდი.

ბოსნიასთან ბუმ გაიღვიძა

პირველი გვერდიდან

გიორგი ცინცაძე: "ბოლო წუთია. ჩვენ რომ 24 წამი ბოლომდე გამოვიყენოთ, ბოსნიას მხოლოდ 3 წამი რჩება. კი, იმ დროშიც ასწრებ რაღაცის გაკეთებას, მაგრამ მაინც... დრო უნდა გაგვეყვანა. ბურთი მე მაქვს. სამწამიანისკენ მოძრაობა რომ დავიწყე, ვიკა სანიკიძის კაცი ამოვიდა ჩემზე და ამ დროს გავაკეთე ის, რასაც ყოველთვის ვაკეთებ - ვიკა შედის ფარქვეშ და ბურთს იქ ვუტარებ. რასაც ვაკეთებდი, გასაკეთებელი იყო, მაგრამ არ გამოვიდა. ყოველთვის პასის მიმცემია დამნაშავე. კარგია, რომ ბოსნიამ ბოლო 6 წამში ვერაფერი ვერ გააკეთა და მოვიგეთ.

- ბოლო შეტევის წინ ბოსნია იღებს წუთშესვენებას. რა გითხრათ იმ შესვენებაზე იგორ კოკოშკოვმა?

- განსაკუთრებული არაფერი. დაცვაში მაგრად იდექით, გაცვლებზე შეცდომა არ დაუშვათ, თამაში ჩვენია და უნდა მოვიგოთო. მეორე ტაიმში გვქონდა შეცდომები, მაგრამ წაგებას არ ვიმსახურებდით. უნდა მოგვეგო და მოვიგეთ.

- ჩემთვის სამი ძირითადი ეპიზოდი იყო. 1. იდეალური, საქართველოს ნაკრების ისტორიაში საუკეთესო მეოთხედი.

- პირველ მეოთხედში თითქმის ყველაფერი კარგად წავიდა. ბოსნიამ ვერ გაშიფრა ჩვენი ოდნავ შეცვლილი დაცვა, დაუშვა ბევრი შეცდომა. ზონას და პერსონალურ დაცვას ვცვლიდით და ეს ბოსნიას დისკომფორტს უქმნიდა. პირველი მეოთხედით ალბათ, ყველა კმაყოფილი იყო.

- 2. ძალიან კარგი პირველი ტაიმი...

- მეორე მეოთხედში იყო შეცდომები, მაგრამ ტემპს ჩვენ ვაკონტროლებდით. რაღაც მომენტში ბოსნიამ დაქაჩა. პირველი ტაიმი მაინც უკეთ დავხურეთ. პრინციპში, მეორე ტაიმშიც ყველაფერი ნორმალურად უნდა წასულიყო. როდესაც ყველაფერი გამოგდის, უარესზე არ ფიქრობ. ცდილობ, უფრო ეფექტურად დაამთავრო ყველაფერი. ხანდახან ეს არ გამოგდის და ეშვები.

- 3. დაღლილი, ცოტა გაუგებარი მეორე ტაიმი.

- ბოსნიამ მეორე ტაიმში ჩვენი დაცვა წაიკითხა, ბევრი რაღაც გაშიფრა და თან სროლა წაუვიდა. ტელეტოვიჩი ყველა ბურთს აგდებდა. თუ ლიდერი არ ნერვიულობს და პრობლემებს აგვარებს, მთელი ნაკრები უკეთ თამაშობს. მეორე ტაიმში ბოსნიამ კარგი პროცენტით ისროლა თამაშიდან. დეტალები დეტალებია და რჩება შედეგი. ბოსნიაში მოვიგეთ და უკვე ლატვიისთვის ვემზადებით.

- საბოლოოდ ნაკრები მოგეწონა?

- ბოსნიაში 96 ქულის აღება საპატიოა. უბრალოდ, 95 ქულა არ უნდა ააღებინო მეორე გუნდს. ეს პრობლემაა და მწვრთნელებთან ერთად ამ პრობლემას მოვაგვარებთ. იყო კიდევ ერთი დიდი პრობლემა - ტელეტოვიჩი...

- ...რომელიც თავის პოზიციაზე ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესოა.

- კი, ერთ-ერთი საუკეთესოა. თავიდან რამდენიმე სროლა ვერ გამოიყენა, მაგრამ მშვიდად აკეთებდა თავის საქმეს და მერე გაეხსნა. ამ სიმაღლის (205) კაცი ტრიალში სამიანებს ყრის, შესვლაში გიგდებს, გტეხავს ერთი-ერთზე. მოკლედ, ყველაფერს აკეთებს და ენერგიას ზუსტად ანაწილებს. ტელეტოვიჩი პრობლემაა.

- ბოსნიის გამთამაშებელმა 13 მოხსნა აიღო. ბევრი არ არის?

- ზაკარი რაითი ათლეტური ტიპია. ბევრი მოხსნა, მაგრამ სროლა არა აქვს და ვცდილობდით ბევრი სროლის საშუალება მიგვეცა. რამდენიმე შეტევაში რაითმა ბოსნიას მეორე ფაზა შეუნარჩუნა, მაგრამ თამაშიდან, 11 სროლიდან, მხოლოდ 2 გამოიყენა. 13 მოხსნა და 15 პასი ყველა შემთხვევაში ბევრია, მაგრამ რაითს დისკომფორტი შეექმნა. ისეთი ტიპის მოთამაშეა, რომელიც ბოსნიას უხდება. ამ გუნდში ის აკეთებს ყველაფერს, რაც უნდა, რომ გააკეთოს. თან, ბოსნიას პერიმეტრიდან ბევრი მსროლელი ჰყავს. რაითი ამ გუნდის ენერჯაიზერია. ნორმალური პირველი ნომერია.

- ჯეიკობ პულენი ის მოთამაშეა, რომელიც გვინდოდა?

- პულენი ნორმალური მოთამაშეა. ალბათ, მოუმატებს და ამ ეტაპზე აკეთებს იმას, რასაც მწვრთნელები ავალებენ. ბოსნიასთან 20 ქულის აღება სოლიდურია. იმედი მაქვს, მოუმატებს. კრეატიული მოთამაშეა. მოკლედ, პულენზე ჯერ მხოლოდ კარგის თქმა შემიძლია.

- ლატვიასთან სხვა თამაში იქნება.

- კი, სულ სხვა თამაში იქნება. ლატვია ძალიან კარგი გუნდია. ბოსნიაში თითქმის მოიგო. ბოლო წუთებზე მსაჯებმა შეცდომები დაუშვეს. შეცდომები ლატვიის წინააღმდეგ. მთელი გუნდი ისვრის საშუალო და შორი მანძილიდან. ბიედრინში არ იქნება, მაგრამ ლატვიას ძირითადი ცენტრის გარეშეც ძლიერი გუნდი ჰყავს. თუ აკრიფა, ძნელი გასაჩერებელია. როგორც ბოსნიაში, თავიდანვე უნდა წავიყვანოთ და ყველაფერი კარგად იქნება.

- გეტყობა, რომ გამოასწორე სროლა და, პრინციპში, ყველაფერი.

- ტრავმის დროს და მერეც, სარეაბილიტაციო პერიოდში, დიდი დრო მქონდა. 7 თვე ვვარჯიშობდი, სროლას დიდ დროს ვუთმობდი. სროლაზე ვივარჯიშე დავით თორთლაძესთან და მინდა დიდი მადლობა გადავუხადო. დღეში სამჯერ ვვარჯიშობდი, ჩავდიოდით რუსთავის დარბაზში, საკუთარ თავზე ვმუშაობდი. ახალ ციკლში ყველაფრის უკეთ გაკეთება მინდა.

საკბილო



ამა წლის 17 აგვისტოს მოსკოვში გაიმართა Pussy Riot-ის სასამართლო პროცესი, რომელსაც ესწრებოდა წარსულში მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში, ამჟამად კი პუტინის რეჟიმის ოპოზიციაში მყოფი გარი კასპაროვი. პროცესის შემდეგ რუს სამართალდამცავებსა და ოპოზიციონერებს შორის მოხდა დაპირისპირება. როგორც ამბობენ, კასპაროვმა რუსული შსს-ს თანამშრომელს უკბინა, პოლიციელმა კი საავადმყოფოს მიმართა.

ამასთან დაკავშირებით გავიხსენოთ ის სპორტსმენები, რომლებსაც ოდესმე ვინმე დაუკბენიათ, რადგან სპორტსმენთა საკბილო ძირითადად მათივე კოლეგები არიან. ჩვენ გავიხსენებთ არა მარტო მათ, ვინც უკბინა, არამედ მათაც, ვინც დაკბინეს.

მაიკ ტაისონი, კრივი, 1997

"რკინის მაიკთან" რინგზე შეხვედრის შემდეგ ევანდერ ჰოლიფილდი უყუროდ დარჩა. ამ ეპიზოდიდან 12 წლის შემდეგ სპორტსმენები ოპრა უინფრის შოუში შეხვდნენ ერთმანეთს და მომხდარზე მხოლოდ იხუმრეს.

"მთავარია, რომ პატიება შეგეძლოს. მე მას ვაპატიე. ისე, ყველაფერი არც ისე ცუდად იყო, როგორც ეს პრესამ დახატა. ასეთი რამ ხდება და ამის დრამატიზება არ ღირს", - თქვა ევანდერ ჰოლიფილდმა.

"ყველაფერი ნარკოტიკების ბრალია. იმ დროს "კაიფში" ვიყავი. მაშინ საერთოდ არ ვფიქრობდი. რაც მოხდა მოხდა. დროს უკან ვერ დავაბრუნებთ. ცხადია, დამნაშავე ვარ", - თქვა "რკინის მაიკმა".

კბენა ავსტრალიურ ფეხბურთში

პეტერ ფილანდი, "პორტ მელბურნი", 2002

ფეხბურთს ღმერთებს პეტერ ფილანდი პირველ რიგში იმით დაამახსოვრდათ, რომ მან მეტოქეს "კვერცხებზე" უკბინა. პეტერი კლუბ "მელბურნის" კაპიტანი და მწვრთნელის ასისტენტია. მან დანაშაული აღიარა, თუმცა, დაამატა, რომ მეტოქე გუნდის ფეხბურთელმა პროვოკაციაზე წამოაგო.

ფილანდის ვერსია ასეთია: შეტაკების შემდეგ მოთამაშეები დაეცნენ და ერთმანეთში გადაიხლართნენ. თავად პეტერი პანიკაში ჩავარდნილა, რადგან სუნთქვა შეეკრა იმის გამო, რომ მეტოქე თითქმის თავზე აჯდა. ამიტომაც უკბინა, თუმცა, ვერ მიხვდა, სად კბენდა. დაზარალებულს არ გაუმართლა - ექიმებმა თქვეს, რომ მას სისხლი წამოუვიდა.

თანაგუნდელის კბენა

ფრანცისკო გალიარდო, "სევილია" 2001

"სევილიამ" "ვალიადოლიდს" მეოთხე გოლი გაუტანა და ხოსე ანტონიო რეიესი გოლს აღნიშნავდა. ყველაფერი ნორმალურად იქნებოდა, რომ არა... მოკლედ, გოლის აღნიშვნისას რეიესი გაზონზე გაგორდა. მასთან თანაგუნდელმა მიირბინა და უკბინა... სად? ამას არ ვიტყვით. უარეს ადგილას, ვიდრე პეტერ ფილანდმა მეტოქეს.

"არა მგონია, ამაზე ყურადღების გამახვილება ღირდეს. მედია რომ არა, ამას ვერავინ შეამჩნევდა", - თქვა მოგვიანებით დარცხვენილმა გალიარდომ.

ჯერმეინ დეფო, "ტოტენჰემი" 2006

"ტოტენჰემისა" და "ვესტ ჰემის" მატჩის პირველი ტაიმის მინურულს ხავიერ მასკერანომ კიდევ ერთხელ ჩასცხო დეფოს ფეხებში. ინგლისელმა ვერ მოითმინა და არგენტინელს უკბინა.

"ეს ხუმრობა არ იყო. ხელზე ნაიარევიც კი დამრჩა. კარიერის განმავლობაში ასეთი რამ პირველად შემემთხვა. დღემდე ვერ ვხვდები, რატომ არ გააძევა მაშინ მსაჯმა დეფო", - თქვა მასკერანომ.

"ტოტენჰემის" მწვრთნელმა მარტინ იოლმა კი თავისი ფეხბურთელი დაიცვა: "დეფომ მას სერიოზულად არ უკბინა. ოდნავ წაკბინა. სთხოვეთ მასკერანოს, ნაიარევი გაჩვენოთ. მერწმუნეთ, ვერ შეძლებს. ათი წუთის განმავლობაში მასკერანომ სამჯერ ჩაარტყა დეფოს ფეხებში და ჯერმეინმაც ვერ მოითმინა".

ნიკიტა სელიუკოვი, ჰოკეი, "ვიტიაზი" 2009

რუსეთის ჰოკეის ჩემპიონატში "ვიტიაზი" ერთ-ერთ ყველაზე მოჩხუბარ გუნდად ითვლება. 2009 წელს "ვიტიაზის" ახალგაზრდული გუნდის წევრმა სელიუკოვმა ყველას დაანახა, რომ მან, ჩხუბთან ერთად, კბენაც კარგად იცის. ნიკიტა მსაჯზე გაბრაზდა და უკბინა. უფრო სწორად, დაკბინა. ყინულზე ჩხუბი ატყდა. მსაჯი მოჩხუბრების გაშველებას ცდილობდა, სელიუკოვმა კი დრო იხელთა...

"ჩხუბის დროს გამუდმებით მკბენდა. ძალიან მტკიოდა, მაგრამ რა უნდა მექნა, მოჩხუბრები ხომ უნდა გამეშველებინა", - თქვა შემდეგ დაკბენილმა არბიტრმა.

სკოტ ჰარტნელი, ჰოკეი, "ფილადელფია", 2009

არ იფიქროთ, რომ მხოლოდ რუსი ჰოკეისტები იკბინებიან. 2009 წელს "ფილადელფიასა" და "პიტსბურგის" თამაში იმით დასრულდა, რომ ჰარტნელმა "პინგვინების" ჰოკეისტ ლატანგს თითზე უკბინა.

"ამ ბიჭმა, ჰარტნელმა, ლატანგს თითზე უკბინა. ამიხსენით, რა უნდოდა ლატანგის თითს მის პირში, რატომ ტენიდა თითს პირში? ამის შემდეგ კიდევ წუწუნებს, მიკბინესო. ყველაფერი ჩხუბისას მოხდა. ლატანგმა ჰარტნელს პირში თითი ატაკა. რა უნდა ექნა სკოტს, ადგა და უკბინა. აბა, ხომ არ აკოცებდა", - ხუმრობდა ტელეკომპანია CBC Sports-ის ჰოკეის მთავარი ექსპერტი ინციდენტის შემდეგ პირდაპირ ეთერში.

"კანიბალის" კბენა

ლუის სუარესი, "აიაქსი" 2010

ლუის სუარესი ხშირად ეხვევა გაუგებრობებში. ჯერ კიდევ "აიაქსში" თამაშისას მან პსვ-ს ფეხბურთელს, ოტმან ბაკალას, მხარზე უკბინა. მსაჯმა ეს ვერ შენიშნა, ბაკალას ნაკბენი არ სტკენია და სიცილით ყველას აჩვენებდა სუარესის კბილების ანაბეჭდს.

მატჩის შემდეგ ეპიზოდის ამსახველი ვიდეო ინტერნეტით გავრცელდა და ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციამ "კანიბალ" სუარესს შვიდმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცა.

კბენა ლიბერტადორესის თასზე

ემერსონ შეიკი, "კორინთიანსი", 2012

"კორინთიანსისა"და "ბოკას" მატჩში ბრაზილიელები ანგარიშით 2:0 იგებდნენ, თუმცა, გოლის ავტორი ემერსონ შეიკი რაღაცაზე იმდენად გაბრაზდა, რომ ერთ-ერთ არგენტინელ მცველს თითზე უკბინა. რაზე იყო გაბრაზებული ემერსონი, კაცმა არ იცის. ეტყობა, ჰეთ-თრიკი რომ ვერ შეასრულა, ამიტომ განაწყენდა.

კბენა ოლიმპიადაზე

საშილა კამარა, თავისუფალი ჭიდაობა, ინდოეთი, 2012

2012 წლის ოლიმპიური თამაშების ნახევარფინალში ინდოელმა საშილა კამარამ ყახახი აკჟუერკას წინააღმდეგ ჭიდაობაში ვერაფერი გააწყო და ფინალში გასვლა აკრძალული ილეთით სცადა. ჯერ ცდილობდა მეტოქისთვის თვალები დაეთხარა, შემდეგ კი უკბინა. ინდოელი მოჭიდავის გეგმამ შედეგი მოიტანა - ის ფინალში გავიდა და ოლიმპიური ოქროც მოიგო.

"ბრძოლის უკანასკნელ წამებზე აკჟუერკას მეტოქე მიხვდა, რომ შეხვედრას ქულებით აგებდა და ერთბაშად ორი აკრძალული ილეთი გამოიყენა. ჯერ თვალებზე თითები დააჭირა, შემდეგ კი ყურზე უკბინა. მწვრთნელებმა დროზე ვერ გააპროტესტეს, რადგან ტრავმა მხოლოდ ჭიდაობის დასრულების შემდეგ შენიშნეს. ამას პროტესტი კი მოჰყვა, მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო", - თქვა ყაზახეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა.